განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

კლინიკური ფსიქოლოგია
მაგისტრატურა

შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი - სეუ

25 თებერვალი, 2022

თბილისი
2021

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი - სეუ
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	208215509
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კლინიკური ფსიქოლოგია
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	**კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრი**
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	კლინიკური ფსიქოლოგია, 0313
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლილი ხეჩუაშვილი - სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	სალომე საბიაშვილი - ა(ა)იპ - ანდრია პირველწოდებულის სახელობის უნივერსიტეტი, პრაქტიკოსი გეშტალტფსიქოლოგი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თინათინ გვაძაბია - სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი - სეუ-ს (შემდგომში - სეუ) სამაგისტრო პროგრამა მიმართულია ფსიქიკური ჯანმრთელობის სიღრმისეული ცოდნით აღჭურვილი კლინიკური ფსიქოლოგიის სპეციალისტების მომზადებაზე, რომლებიც საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში, ჰოლისტურ პრინციპებსა და ბიოფსიქოსოციალურ მოდელზე დაყრდნობით, განახორციელებენ კლინიკურ ინტერვენციასა და ფსიქოლოგიური კონსულტირების პროცესს. შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამა 120 კრედიტის ფარგლებში (4 სემესტრი), წარმოდგენილ დოკუმენტში აღწერილი რეკომენდაციების გათვალისწინების პირობებში, კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის ხარისხის მქონე სპეციალისტის მომზადების შესაძლებლობას იძლევა, რომელიც ფლობს თანამედროვე ცოდნას და დასაქმების ბაზრის მოთხოვნების შესაბამის პრაქტიკულ უნარებს აღნიშნული მახასიათებლით პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოდის უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.

120 კრედიტიანი პროგრამა შედგება (ა) სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებისგან (72 კრედიტი); (ბ) სპეციალობის არჩევითი კურსებისაგან (12 კრედიტი), (გ) პრაქტიკის კომპონენტისგან (12 კრედიტი) და (დ) სამაგისტრო ნაშრომისგან (24 კრედიტი).

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

ქვეყანაში კორონავირუსის გამო გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ სამაგისტრო პროგრამის „კლინიკური ფსიქოლოგია“ შეფასება 2020 წლის 16 დეკემბერს დისტანციურად, კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების, კერძოდ, Zoom-ის პროგრამის გამოყენებით განხორციელდა.

ვიზიტის განმავლობაში ექსპერტები, წინასწარ შემუშავებული და დაწესებულებასთან შეთანხმებული დღის წესრიგის შესატყვისად, გაესაუბრნენ უნივერსიტეტის პერსონალს: უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციას, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის ხელმძღვანელს, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალსა და სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებს, პროგრამის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს, ბიბლიოთეკარსა და პოტენციურ დამსაქმებლებს. ექსპერტთა ჯგუფმა, ბიბლიოთეკარის დახმარებით, ნახა, როგორ მუშაობს უსდ-ის ელექტრონული ბიბლიოთეკა.

აკრედიტაციის პროცესი მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში. ვიზიტი კარგად იყო ორგანიზებული. დღის წესრიგით გათვალისწინებული შეხვედრები დროულად, შეფერხებების გარეშე გაიმართა. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა საგანმანათლებლო პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სამაგისტრო პროგრამა „კლინიკური ფსიქოლოგია“ მეტწილად ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებით ჩამოთვლილ მოთხოვნებს და სრულ შესაბამისობაშია III, IV და V სტანდარტთან, ხოლო მეტწილად შესაბამისობაშია I და II სტანდარტთან.

- **რეკომენდაციები**

1.2.

- სწავლის შედეგებში ნათლად გაიწეროს, რა ეცოდინებათ/შეეძლებათ სტუდენტებს კონკრეტული მიდგომის (კოგნიტურ-ბიჰევიორალური თთერაპიის) მიმართულებით. მართალია, შედეგებში აღწერილია კონკრეტული კომპეტენციები, თუმცა არსად არის მითითებული, რომელი მიმართულების ფარგლებში შეძლებენ აღნიშნულის განხორციელებას.
- პროგრამაში ჩართული სავალდებულო/არჩევითი კურსების ისეთი კომბინაციის შეთავაზება, რომ ზუსტად იმ სწავლის შედეგებზე გავიდეს სტუდენტი, რომელსაც პროგრამა უსახავს (ასევე, იხ. შესაბამისი რეკომენდაციები ქვესტანდარტთან 2.2 და 2.3).

2.2.

- პროგრამის სტრუქტურა გადასინჯვა და სწავლის შედეგების შესაბამისად, კურსების სტატუსის მოდიფიკაცია. სავალდებულო კურსების ჩამონათვალში მხოლოდ იმ კურსების გაერთიანება, რომლებიც არსებითად მნიშვნელოვანია სწავლის შედეგების (იქნება ეს კვლევა, პრაქტიკა თუ ტრანსფერული უნარები) მისაღწევად, ხოლო დანარჩენი, უფრო ვიწროდ სპეფიციკური და სიღრმისეული კურსების არჩევითი საგნების ბლოკში გაერთიანება.
- პროგრამის სავალდებულო კურსების იმგვარი კომბინაციის შეთავაზება სტუდენტისთვის, რომ მან შეძლოს კონკრეტული (პროგრამის ხელმძღვანელის მოსაზრებების შესაბამისად) მიმართულებით პრაქტიკული მუშაობის უნარ-ჩვევების შეძენა, ან ეკლექტური მიდგომით მუშაობისთვის საკმარისი კომპეტენციების შეძენა.
- გადაიხედოს ზოგიერთი კურსის მოცულობა და დაიგეგმოს თითოეული კურსისთვის ოპტიმალური მოცულობის განსაზღვრა.

2.3.

- **რაოდენობრივი კვლევის მეთოდები, მონაცემთა დამუშავება SPSS-ის გამოყენებით.** კურსი წარმოდგენილია პროგრამაში სავალდებულო საგნების ჩამონათვალში. მიუხედავად დასახელებისა, შინაარსის შესწავლა აჩვენებს, რომ კურსის ფარგლებში არც ერთი საკითხი არ ეხება რაოდენობრივი კვლევის მეთოდებს და SPSS-ის სწავლებაზე ახდენს ფოკუსირებას, შესაბამისად, სათაური არ შეესაბამება წარმოდგენილი კურსის შინაარსს. კურსი, სილაბუსის მიხედვით, SPPS-ის გარემოში მონაცემების დამუშავების გზების სწავლებას ისახავს მიზნად, თუმცა თუ დეტალურად განვიხილავთ ჩამოთვლილ საკითხებს, ვნახავთ, რომ პირველი ცხრა კვირის განმავლობაში შეთავაზებული ყველა საკითხი და ნაწილობრივ X-XI კვირების მასალაც არ შეესაბამება სამაგისტრო სწავლების დონეს და მოიცავს იმ ცოდნას, რომელსაც ფსიქოლოგის ბაკალავრის ხარისხის მქონე სპეციალისტი ბაკალავრიატზე სწავლის პერიოდში იღებს სტატისტიკის სავალდებულო კურსის ფარგლებში. აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია: (1) შესაბამისობაში მოვიდეს ერთმანეთთან კურსის დასახელება და შინაარსი; (2) კურსის შინაარსი მოდიფიცირდეს იმგვარად, რომ შეესაბამებოდეს სამაგისტრო სწავლების დონეს. მაგალითად, ისეთი საკითხები, როგორიცაა აღწერითი სტატისტიკის ელემენტები, კვლევის ჰიპოთეზა, წერტილთა გაბნების დიაგრამები და ხი-კვადრატის გამოთვლა (სხვა დანარჩენ საკითხებთან ერთად), არ უნდა იყოს წარმოდგენილი სამაგისტრო დონეზე შეთავაზებულ სტატისტიკის კურსში, ვინაიდან ეს ის ბაზისური ცოდნაა, რომელსაც საბაკალავრო პროგრამა იძლევა (იხ. ქვესტანდარტი2.1, მიღების წინაპირობები).

- **თვისებრივი კვლევის მეთოდები.** კურსი შეთავაზებულია არჩევითი კურსების ჩამონათვალში მაშინ, როდესაც რაოდენობრივი მეთოდები (იხ. ზემოთ) სავალდებულო ბლოკში გვხვდება. ვინაიდან წარმოდგენილი პროგრამა კლინიკური ფსიქოლოგების მომზადებას ისახავს მიზნად, რომლებსაც კონკრეტულ შემთხვევებთან მოუწევთ მუშაობს (განურჩევლად იმისა, ეს შემთხვევა ერთი ინდივიდი, ჯგუფი თუ თემი იქნება), თვისებრივი კვლევის მეთოდებისა და ამგვარად მიღებული მონაცემების დამუშავების უნარების ქონა არსებით მნიშვნელობას იძენს. შესაბამისად, წარმოდგენილი კურსი ერთ-ერთი ძირითადი დისციპლინაა, რომელმაც (კონკრეტული მეთოდების შესწავლაზე ორიენტირებული ჩაღრმავებულ კურსებთან ერთად) საფუძველი უნდა შეუქმნას კურსდამთავრებულის კვლევით კომპეტენციებს. ამიტომ თვისებრივი კვლევის მეთოდების კურსის სილაბუსი, ფაქტობრივად, ხელახლა უნდა დაიწეროს. უფრო კონკრეტულად, რეკომენდებულია: (1) წარმოდგენილ კურსს უძღვებოდეს ის აკადემიური/მოწვეული პერსონალი, რომელსაც შესაბამისი ცოდნა, გამოცდილება და კომპეტენცია გააჩნია კვლევის, კერძოდ, თვისებრივი კვლევის მიმართულებით; (2) კურსის შინაარსი შეესაბამებოდეს დასახელებას, მოიცავდეს თვისებრივ კვლევაში გამოსადეგ მეთოდებს და არ მოიცავდეს ისეთ საკითხებს, როგორიცაა, მაგალითად „სტატისტიკური კვლევის მეთოდები ფსიქოლოგიაში“ (კვირა I).
- **პოზიტიური და ტრანსკულტურალური მიმართულების ფსიქოკონსულტირება** სამკრედიტიანი არჩევითი კურსის სახით არის შეთავაზებული წარმოდგენილ პროგრამაში. კურსის შინაარსის შესწავლა აჩვენებს, რომ ტრანსკულტურალური მიმართულება მხოლოდ ერთ თემას შეადგენს და დანარჩენი კურსი პოზიტიური ფსიქოკონსულტირებას ეთმობა. აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია კურსისთვის შინაარსის შესატყვისი სახელწოდების შერჩევა.
- **კვლევის მეთოდებში არჩევითი კურსები.** კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ვიწრო კლინიკური სპეფიციკიდან გამომდინარე, სტუდენტებს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას მოუწევთ კვლევის ამა თუ იმ თვისებრივი მეთოდის გამოყენება, რომელიც სხვებზე მეტად ახლოს დგას და შეესაბამება კლინიკური ფსიქოლოგის საქმიანობას, როგორებიცაა, მაგალითად, ვიზუალური ანალიზი, ნარატივის ანალიზი, ფსიქობიოგრაფიული კვლევა/შემთხვევის შესწავლა, თემატური აპერცეფციის ტესტი, რორშახის მელნის ლაქები და ა. შ. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამაში შეთავაზებულია ზოგიერთი ამ მეთოდთაგანი სხვა კურსის ფარგლებში (ზედაპირული, მიმოხილვითი ფორმატით მხოლოდ), რეკომენდებულია არჩევითი საგნების ჩამონათვალში რამდენიმე ისეთი (სამკრედიტიანი) კურსის დამატება, რომელიც მიმართული იქნება ცალკეული მეთოდის სიღრმისეულად, პრაქტიკულად ათვისებაზე და გამოადგებათ სტუდენტებს სამაგისტრო ნაშრომებზე მუშაობისას.
- **მონაცემთა ანალიზი.** წარმოდგენილი პროგრამის სტუდენტებს სამაგისტრო ნაშრომის შესრულება მოუწევთ. ამისათვის პროგრამაში ფორმალურად არის გათვალისწინებული მონაცემთა დამუშავებისა და ანალიზის სწავლება (ერთი კურსის ფარგლებში), თუმცა აღნიშული კურსი არ არის საკმარისი (იხ. რეკომენდაცია ზემოთ) სწავლის შედეგებში დეკლარირებული კვლევითი კომპეტენციის მისაღწევად. ვინაიდან სტუდენტებს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას მოუწევთ რაოდენობრივ (სტატისტიკური დამუშავება, SPSS) თუ თვისებრივ (კოდირება, სხვა ტიპის თვისებრივი ანალიზი, Nvivo) მონაცემებთან ურთიერთობა. შესაბამისად, რეკომენდებულია არჩევითი კურსის სახით მსგავსი კურსების შეთავაზება, რომელთაგან სტუდენტები თავიანთი სამაგისტრო ნაშრომიდან გამომდინარე, საჭიროებისამებრ აირჩევენ სათანადო კურსს.

- **კურსების შინაარსობრივი დეტალები.** ზოგიერთ სასწავლო კურსში თითოეული კვირისთვის განკუთვნილი თემატიკის აღწერა იმდენად მწირეა, რომ პრაქტიკულად შეუძლებელია იმის გარკვევა, თუ რა საკითხზე/აქტივობაზეა საუბარი. მაგალითად, იხ. კურსები „ფსიქოლოგიური ტრავმა და მასთან დაკავშირებული მდგომარეობები“ (კვირა XII „მკურნალობა“, კვირა XV „ქეისების განხილვა“), „პოზიტიური და ტრანსკულტურალური მიმართულების ფსიქოკონსულტირება“ (კვირა IV „ბალანსის მოდელი და ცხოვრების ოთხი სფერო“, კვირა XIV „ფსიქოდინამიკის სამი სტადია“). შესაბამისად, რეკომენდებულია მეტად ინფორმაციული სილაბუსების (როგორიცაა, მაგალითად, კურსების „სამეცნიერო წერის“ და „პრაქტიკა კოგნიტურ-ბიჰევიორალურ თერაპიაში“ სილაბუსები) შეთავაზება სტუდენტებისთვის.
- **კურსების სათაურისა და შინაარსის შესაბამისობა.** პროგრამის სავალდებულო საგნების ჩამონათვალში არის ისეთი კურსები, როგორიცაა პრაქტიკა და სუპერვიზია ფსიქოლოგიურ კონსულტირებაში, პრაქტიკა კოგნიტურ-ბიჰევიორალურ თერაპიაში, პრაქტიკა ჯგუფურ ფსიქოთერაპიაში. ანალოგიური სახელწოდება აქვს კურსს პრაქტიკა კლინიკურ ფსიქოლოგიაში, რომელიც რეალურად წარმოადგენს პროფესიული პრაქტიკის კურსს და პრაქტიკის ობიექტზე ხორციელდება. ზემოთ ჩამოთვლილი კურსების შინაარსის შესწავლამ აჩვენა, რომ რეალურად ეს კურსები სასწავლო კურსების ჩაშენებული პრატიკის ელემენტებით და არა -- პრაქტიკის კურსი (იმ ფორმატით, რასაც პროფესიული პრაქტიკა გულისხმობს). აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია კურსების სახელწოდებისა და შინაარსების ერთმანეთთან თანხმობაში მოყვანა.

2.4.

- კვლევის კომპონენტის გაძლიერება კვლევის მეთოდების კურსების მოდიფიკაციითა და პროგრამაზე მეტად მორგებით და დამატებითი არჩევითი კურსების შეთავაზებით კვლევის მეთოდების მიმართულებით.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

2.3.

- პროგრამისა და მასში შემავალი ყველა კურსის სილაბუსის გულდასმით გადასინჯვა და ენობრივი თვალსაზრისით გამართვა, ვინაიდან პროგრამის ფარგლებში შემოთავაზებული კურსების სილაბუსებში მრავლად გვხვდება გრამატიკული და ტექნიკური შეცდომები, რაც უმჯობესია, რომ არ შეხვდეს პოტენციურ და მიმდინარე სტუდენტს (მაგალითად, „პრაქტიკა ჯგუფურ ფსიქოთერაპიაში“: კვირა VII (“გამოცდები მიდინარეობს”), კვირა VIII („კითხვების დასმის ეეფქტური“) და კვირა XI („ტექნიკის დემონსტირება“); „თვისებრივი კვლევის მეთოდები“: კვირა XIII („ნარათაული ანალიზი“), კვირა IV („კვლევის ინსტრუმენტარი“)).

3.2.

- უსდ-ში არსებობდეს დოკუმენტი, რომელშიც გაწერილი იქნება სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობები;
- სტუდენტები ინფორმირებულნი იყვნენ სამეცნიერო ჟურნალის „SEU & SCIENCE”- ის შესახებ ჰქონდეთ ინფრომაცია.

4.1.

- მიუხედავად იმისა, რომ უსდ სასწავლო უნივერსიტეტია, აკადემიური/მოწვეული პერსონალი მეტად აქტიური იყოს კვლევითი საქმიანობის (როგორც კვლევის წარმოების, ისე გამოქვეყნების) თვალსაზრისით.

4.2.

- აკადემიური და მოწვეული პერსონალის მოტივირება, რათა მეტად აქტიურად დაკავდნენ როგორც კვლევით საქმიანობით (კვლევა და გამოქვეყნება), ისე უსდ-ის მიერ შეთავაზებულ განმავითარებელ აქტივობებში.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

2.1.

- მიღების წინაპირობად ბაკალავრის აკადემიური ხარისხის ფლობა ფსიქოლოგიაში ან ფსიქიატრიაში გარკვეულწილად ზღუდავს მისაღებ პირთა არეალს, თუმცა ამ წინაპირობის გარეშე პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები რეალურად მიღწევადი ვერ იქნება. გარდა ამისა, პროგრამაზე დაშვების ერთ-ერთ წინაპირობად განსაზღვრულია აპლიკანტის მიერ ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა, რაც გამართლებულია იმ ფაქტით, რომ სასწავლო კურსები დაფუძნებულია თანამედროვე სამეცნიერო კვლევებსა და ლიტერატურაზე, რომლის დიდი ნაწილი მხოლოდ ინგლისურ ენაზეა ხელმისაწვდომი. იღებენ და ნაკლებად დარჩებათ მიღებული გზავნილი უყურადღებოდ.

4.3.

- უსდ-ს პროგრამისათვის შეძენილი აქვს უახლესი სამეცნიერო ლიტერატურა (სახელმძღვანელოები და სასწავლო მასალები) ინგლისურ და ქართულ ენაზე.

სარჩევი

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 9

1.1 პროგრამის მიზნები 9

1.2. პროგრამის სწავლის შედეგები 10

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 13

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები 13

2.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი 14

2.3. სასწავლო კურსი 17

2.4. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება 21

2.5. სწავლება-სწავლის მეთოდები 22

2.6. სტუდენტების შეფასება 23

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 25

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება 25

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა 28

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 31

4.1. ადამიანური რესურსი 31

4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება 33

4.3. მატერიალური რესურსი 34

4.4. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა ... 36

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 37

5.1. შიდა ხარისხის შეფასება 37

5.2. გარე ხარისხის შეფასება 38

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება 39

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა 41

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო პროგრამის „კლინიკური ფსიქოლოგია“ მიზნები (მოამზადოს ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხების თაობაზე სიღრმისეული ცოდნით აღჭურვილი კლინიკური ფსიქოლოგიის სპეციალისტები, რომლებიც საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში, ჰოლისტურ პრინციპებსა და ბიოგსიქოსოციალურ მოდელზე დაყრდნობით, განახორციელებენ კლინიკურ ინტერვენციასა და ფსიქოლოგიური კონსულტირების პროცესს) სრულად ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის ის მიმართული. კურსდამთავრებულებს პრაქტიკული საქმიანობის ფართო არჩევანი აქვთ, მათი სამუშაო ადგილი შეიძლება იყოს საჯარო და არასაჯარო ორგანიზაციები და დაწესებულებები, როგორიცაა: • საავადმყოფოები; • საკონსულტაციო-სარეაბილიტაციო ცენტრები; • პენიტენციური დაწესებულებები; • ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის სამსახურები; • ფსიქიატრიულ კლინიკები; • ამბულატორიულ ფსიქიკური ჯანმრთელობის სამსახურები; • კრიზისული ინტერვენციის სამსახურები; • მობილური სათემო გუნდები; • ხანდაზმულთა სოციალური ზრუნვისა და დაცვის სამსახურები; • კვლევითი ორგანიზაციები. ასევე, კურსდამთავრებულმა შეიძლება განახორციელოს კერძო პრაქტიკა კლინიკური ფსიქოლოგიური ინტერვენციისა და ფსიქოკონსულტირების მიმართულებით (თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამაგისტრო განათლება არასაკმარისია დამოუკიდებელი კერძო პრაქტიკის წარმოებისთვის). წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება სეუ-ს მისიას, რომელიც საერთაშორისოდ ცნობადი, სტუდენტსა და მის წარმატებაზე ორიენტირებული, თანამედროვე სტანდარტების მქონე აკადემიური გარემოს შექმნას მოიაზრებს, რაც სწავლის, სწავლებისა და კვლევის მასტიმულირებელი იქნება და თითოეულ ადამიანს საკუთარი პოტენციალის სრული რეალიზების შესაძლებლობას აძლევს, ამზადებს რა მაღალი კვალიფიკაციის მქონე კონკურენტუნარიან სპეციალისტებს შრომის ბაზრისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა და სილაბუსები;
- სასწავლო უნივერსიტეტის მისია;
- უნივერსიტეტის დებულება;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
- სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2. პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამის „კლინიკური ფსიქოლოგია“ სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, პრაქტიკულ უნარ-ჩვევებსა და პასუხისმგებლობას, რასაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას. აღწერილი სწავლის შედეგები სრულად შეესაბამება ჩარჩოს დონის აღმწერებს.

წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამა მთლიანად პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშვებაზეა ორიენტირებული, შესაბამისად, მასში წარმოდგენილ პრაქტიკულად ყველა კურსს თავისი წვლილი შეაქვს პრაქტიკული კომპონენტის მიმართულებით კურსდამთავრებულისთვის უნარების გამომუშავებაში. ამასთან, ცალკე კურსები ეთმობა პროფესიულ პრაქტიკას. აღსანიშნავია, რომ მთელი რიგი კურსები, დასახელებების მიხედვით, სრულად პრაქტიკული კურსის შთაბეჭდილებას ტოვებს, რაც კურსის ფარგლებში გამომუშავებული პრაქტიკული უნარ-ჩვევისთვის თეორიული ბაზისის არარსებობის განცდას ტოვებს, თუმცა სილაბუსების შინაარსობრივმა შესწავლამ აჩვენა, რომ აღნიშნულ კურსებში დაბალანსებულია თეორიული და პრაქტიკული კომპონენტი (დამატებით იხ. ქვესტანდარტი **2.3** და შესაბამისი რეკომენდაციები).

აღნიშნული ვითარება პროგრამის ხელმძღვანელთან და პროგრამის განმახორციელებლ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან შეხვედრების დროსაც გამოიკვეთა.

თუმცა ნათლად არის დოკუმენტირებული ის, რომ კურსდამთავრებულს შეუძლია ფსიქიკური ჯანმრთელობის პოლიტიკისა და სტრატეგიის ძირითადი მიმართულებებისა და ამოცანების შესახებ მსჯელობა; კარგად იცის ქცევითი დარღვევებისა და ფსიქიკური აშლილობების ძირითადი ფორმები, დიაგნოსტირების პროცედურები და მართვის პრინციპები; შეუძლია სათანადო ვალიდური შეფასების ინსტრუმენტების საჭიროებისამებრ შერჩევა და გამოყენება როგორც კვლევის, ისე კლინიკური მუშაობის მიზნებისათვის. კურსდამთავრებულს შეუძლია დიაგნოზის დასმა და კლიენტთან/პაციენტთან ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის სტრატეგიის დასახვა, კონსულტირების პროცესის წარმართვა და კრიზისული ინტერვენციის განხორციელება, ამ პროცესისა და მიღწეული შუალედური და საბოლოო შედეგების შეფასება. იცის თერაპევტ-კლიენტის პროფესიული ეთიკის საფუძვლები, თანამედროვე კლინიკური დიაგნოსტიკის სისტემა.

კურსდამთავრებულს შეუძლია საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე ორიენტირებული აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება, ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისების საჭიროების ადვოკატირება ადგილობრივ თემში.

მიუხედავად ყოველივე ზემოთ თქმულისა, პროგრამის შინაარსიდან (იხ. ქვესტანდარტი 2.2 და 2.3) ნაკლებად იკვეთება, რომ კურსდამთავრებულს რომელიმე კონკრეტული მიმართულებით ექნება გამოკვეთილი დიაგნოსტირებისა და კონსულტირების პრაქტიკული უნარ-ჩვევები. პირიქით, პროგრამის შინაარსიდან ჩანს, რომ სწავლება უფრო ეკლექტური მიმართულებით წარიმართება, თუმცა ამ შემთხვევაში არასაკმარისია ის კურსები და აქტივობები, რაც ასეთ ცოდნას/სწავლის შედეგებს მისცემდა სტუდენტებს. პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუირებისას გაირკვა, რომ მისი ხედვა სრულიად კონკრეტულ მიზნებს მოიცავს: მიზნად ისახავს ემპირიულ მტკიცებულებებზე დაფუძნებული თერაპიული მიდგომის, კოგნიტურ-ბიჰევიორალური თერაპიის სიღრმისეულ სწავლებას და სტუდენტების ამ მიმართულებით გაწაფვას, რაც ნაკლებად არის დოკუმენტირებული და, შესაბამისად, ნაკლებად აისახება პროგრამის სწავლის შედეგებში. აღნიშნულმა ვითარებამ შექმნა ქვემოთ წარმოდგენილი რეკომედაციების საჭიროება.

რაც შეეხება კვლევით უნარ-ჩვევებს, კურსდამთავრებულს, რეკომენდაციების გათვალისწინების პირობებში (იხ. ქვესტანდარტი **2.2** და 2.3), შეუძლია კვლევითი პროექტის დაგეგმვა და განხორციელება შესაბამისი რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდებისა და სტატისტიკური აპარატის გამოყენებით (საჭიროების შემთხვევაში), კვლევის შედეგების წერილობითი სახით წარმოდგენა აკადემიური წერის ნორმების სრული დაცვით.

წარმოდგენილი პროგრამა მოიცავს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმს. შეფასების პროცედურა ასეთია: ორწლიანი ციკლის განმავლობაში ფასდება პროგრამის ძირითადი სავალდებულო კურსები. სილაბუსში აღწერილი შედეგები ითვლება მიღწეულად იმ შემთხვევაში, თუ თითოეული სავალდებულო კურსისათვის მოსწრების შედეგების მიხედვით ჯგუფში დარეგისტრირებულ სტუდენტთა (ჯგუფში არანაკლებ 15 სტუდენტისა) მინიმუმ 75% ფასდება 51 და მეტი ქულით (E - საკმარისი), იმ აუცილებელი პირობით, რომ სტუდენტს გადალახული აქვს შესაბამისი კომპონენტით განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და მინიჭებული აქვს კრედიტი. სასწავლო კურსზე ერთზე მეტი ჯგუფის არსებობის შემთხვევაში შედეგი გამოითვლება ჯგუფების საშუალო არითმეტიკული. პროგრამის თითოეული შედეგის შესაფასებლად ჯგუფდება ის სავალდებულო სასწავლო კურსები, რომელთაც, სულ მცირე, ერთი საერთო შედეგი აქვთ.

პროგრამა დასახულ შედეგებზე გადის, როდესაც საერთო ნიშნით დაჯგუფებული სასწავლო კურსებისთვის ჯამური საშუალო სიდიდე აღემატება 75%-ს. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების არაპირდაპირი მეთოდის ინსტრუმენტებია: პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების დინამიკა, პროგრამის დასრულების მაჩვენებელი, პროგრამაზე მობილობის მაჩვენებელი,

კურსდამთავრებულთა დასაქმების დინამიკა, მათ შორის სპეციალობის მიხედვით, დაინტერესებული მხარეების (სტუდენტები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, კუსრდამთავრებულები, დამსაქმებლები) გამოკითხვის შედეგები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; • კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი; • სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კითხვარები; • პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან და ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, რეკომენდებულია: • სწავლის შედეგებში ნათლად გაიწეროს, რა ეცოდინებათ/შეეძლებათ სტუდენტებს კონკრეტული მიდგომის (კოგნიტურ-ბიჰევიორალური თერაპიის) მიმართულებით. მართალია, შედეგებში აღწერილია კონკრეტული კომპეტენციები, თუმცა არსად არის მითითებული, რომელი მიმართულების ფარგლებში შეძლებენ აღნიშნულის განხორციელებას. • პროგრამაში ჩართული სავალდებულო/არჩევითი კურსების ისეთი კომბინაციის შეთავაზება, რომ ზუსტად იმ სწავლის შედეგებზე გავიდეს სტუდენტი, რომელსაც პროგრამა უსახავს (ასევე, იხ. შესაბამისი რეკომენდაციები ქვესტანდარტთან 2.2 და 2.3).
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

საგანმანათლებლ ო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		✓		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაზე სწავლის მსურველებს რამდენიმე დაშვების წინაპირობის შესრულება მოეთხოვებათ: (1) აპლიკანტს უნდა ჰქონდეს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია ფსიქოლოგიაში ან ფსიქიატრიაში; (2) მან უნდა გადალახოს საერთო სამაგისტრო გამოცდებზე დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი; (3) უნდა გადალახოს მინიმალური ზღვარი სასწავლო უნივერსიტეტის მიერ დაწესებულ გამოცდებზე (ტესტირება/გასაუბრება); (4) ჩარიცხვისათვის ასევე უნდა წარმოადგინოს ინგლისური ენის ცოდნის B2 დონის სერტიფიკატი (TOEFL, IELTS, CAE, TOEIC, FCE (Grades A, B), CPE ან სხვა სერტიფიკატი, მათი ვალიდურობის დადასტურების შემთხვევაში) ან გაიაროს ინგლისურ ენაში შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა. აპლიკანტები, რომელთა დიპლომის დანართი ადასტურებს B2 დონეზე ინგლისური ენის ცოდნის კვალიფიკაციას, ან რომლებსაც დამთავრებული აქვთ საბაკალავრო ან სამაგისტრო ინგლისურენოვანი პროგრამა თავისუფლდებიან სერტიფიკატის წარმოდგენისა და ინგლისურ ენაში შიდასაუნივერსიტეტო გამოცდისაგან. კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის და პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შესახებ ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწვდომია. მსურველთა სრულყოფილად ინფორმირების მიზნით ყოველწლიურად ტარდება „ღია კარის დღეები“, ფართო ტირაჟით იბეჭდება ფლაერები, ტარდება სხვადასხვა სამოტივაციო ხასიათის ღონისძიებები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სამაგისტრო პროგრამა; • სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდი www.seu.edu.ge; • პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან ინტერვიუები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- მიღების წინაპირობად ბაკალავრის აკადემიური ხარისხის ფლობა ფსიქოლოგიაში ან ფსიქიატრიაში გარკვეულწილად ზღუდავს მისაღებ პირთა არეალს, თუმცა ამ წინაპირობის გარეშე პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები რეალურად მიღწევადი ვერ იქნება. გარდა ამისა, პროგრამაზე დაშვების ერთ-ერთ წინაპირობად განსაზღვრულია აპლიკანტის მიერ ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა, რაც გამართლებულია იმ ფაქტით, რომ სასწავლო კურსები დაფუძნებულია თანამედროვე სამეცნიერო კვლევებსა და ლიტერატურაზე, რომლის დიდი ნაწილი მხოლოდ ინგლისურ ენაზეა ხელმისაწვდომი.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტ - სეუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით და შეესაბამება სასწავლო უნივერსიტეტის სტანდარტსა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.

კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს. შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა შეადგენს 2 წელს (4 სემესტრს). კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ვადის ამოწურვის შემდეგ აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტს უფლება აქვს საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების მიზნით სწავლა განაგრძოს დამატებითი სემესტრების (არა უმეტეს 6 სემესტრისა) განმავლობაში, სტუდენტის სტატუსის შენარჩუნებით.

წარმოდგენილი პროგრამა, მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინების პირობებში (იხ. **2.22.3** და 2.4, რეკომენდაციების ნაწილი), ფაქტობრივად, იძლევა კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის ხარისხის მქონე სპეციალისტის მომზადების შესაძლებლობას, რომელიც ფლობს თანამედროვე ცოდნას და დასაქმების ბაზრის მოთხოვნების შესაბამის პრაქტიკულ უნარებს. აღნიშნული მახასიათებლით პროგრამის სწავლის შედეგები (იხ. ქვესტანდარტი **1.2** და 2.4, შესაბამისი რეკომენდაციებით) მეტწილად, შესაბამისობაში მოდის უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.

120 კრედიტიანი პროგრამა შედგება (ა) სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებისგან (72 კრედიტი); (ბ) სპეციალობის არჩევითი კურსებისაგან (12 კრედიტი), (გ) პრაქტიკის კომპონენტისგან (12 კრედიტი) და (დ) სამაგისტრო ნაშრომისგან (24 კრედიტი). აღნიშნული სტრუქტურა, როგორც მასში შემავალი კომპონენტების, ისე კურსებისა და კრედიტების გადანაწილების თვალსაზრისით, პრაქტიკულად შეესაბამება და აკმაყოფილების სწავლის სფეროების კლასიფიკატორის (№69/ნ) მოთხოვნებს.

თუმცა ზოგიერთი კურსის შემთხვევაში არ არის ნათელი, რა პრინციპით არის განსაზღვრული ის მოცულობა, რომელიც ამა თუ იმ კურსს აქვს. მაგალთად, რა არგუმენტაცია უდევს საფუძვლად იმას, რომ „ტრენინგის მართვის ტექნოლოგიები“ ექვსკრედიტიანია, ხოლო „გეშტალტთერაპიის პრაქტიკული კურსი“ და „პოზიტიური და ტრანსკულტურული მიმართულების ფსიქოკონსულტირება“ სამკრედიტიანი!?

მიუხედავად ზემოთ თქმულისა, წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან არც თუ ისე ცხადად ჩანს სავალდებულო და არჩევით ბლოკში კურსების განაწილების ლოგიკა. მოცემული პროგრამა არ არის აწყობილი ერთი რომელიმე დომინანტური, კონკრეტული მიდგომისა და თუ მიმდინარეობის ირგვლივ, თუმცა არც ეკლექტური მიდგომის დეკლარირება გვხვდება სადმე. შესაბამისად, თითოეული კურსი, რომელიც ჩართულია მასში, გარკვეული მიმართულებით ცოდნას აძლევს სტუდენტს, ამ ცოდნის მთლიან პროგრამაში ინტეგრირების და ერთი მთლიანის დანახვის გარეშე.

ვიზიტის მსვლელობისას პროგრამის ხელმძღვანელთან საუბარმა ნათელი გახადა, რომ მას კონსულტირების მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიდგომის -- კოგნიტურ-ბიჰევიორალური მიდგომის პრაქტიკული უნარ-ჩვევებით აღჭურვილი კურსდამთავრებულის მიღება აქვს მიზნად დასახული, რაც ნაკლებად მიღწევადია აღნიშნული პროგრამით (ასევე, იხ. ქვესტანდარტი 1.2). ასეთი განსვლა პროგრამის ხელმძღვანელის ხედვასა და დოკუმენტურად წარმოდგენილ პროგრამას შორის მის სტრუქტურასა და კურსების კომბინაციაშიც აისახება.

ამრიგად, ვინაიდან წარმოდგენილი პროგრამის სავალდებულო კურსები არ მიჰყვება ერთ კონკრეტულ მიმართულებას და სტუდენტს სთავაზობთ თითო, ექვს კრედიტიან, სავალდებულო კურსს ისეთ განსხვავებულ მიმართულებებში, როგორიცაა კოგნიტურ-ბიჰევიორალური თერაპია, ფსიქოდინამიკური ფსიქოთერაპია, ჯგუფური ფსიქოთერაპია, არ არის ნათელი, რა მოსაზრებით არის, მაგალითად, „კლინიკური ნეიროფსიქოლოგია“ სავალდებულო კურსების ჩამონათვალში, ხოლო პრაქტიკული კურსი „ქცევის ანალიზსა და ინტერვენციაში“ და „ფსიქოსომატიკა“ -- არჩევითი კურსების რიცხვში. ასევე, სავალდებულო კურსების ჩამონათვალშია კურსი „რაოდენობრივი კვლევის მეთოდები, მონაცემთა დამუშავება SPSS-ის გამოყენებით“, ხოლო კვლევით კომპონენტში შემავალი კიდევ ერთი კურსი „თვისებრივი კვლევის მეთოდები“ წარმოდგენილია არჩევითი კურსების ბლოკში (კვლევითი კომპონენტის შემადგენელი კურსების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. ქვესტანდარტი 2.3). არადა, კლინიკური ფსიქოლოგისთვის, რომელიც პრაქტიკაში მუშაობს კონკრეტულ ადამიანებთან, თვისებრივი კვლევის მეთოდები და მონაცემთა ანალიზის ტექნიკები მეტად მნიშვნელოვანი და გამოსადეგი შეიძლება იყოს, ვიდრე კვლევისადმი რაოდენობრივი, პოზიტივისტური მიდგომა. გარდა ამისა, კვლევითი კომპონენტი, დიდწილად, წარმოდგენილია პროგრამის IV სემესტრში შესასრულებელი კვლევითი პროექტითა და სამაგისტრო/კვლევითი ნაშრომის წარმოდგენით.

სასწავლო, პრაქტიკული და კვლევითი კომპონენტები მეტ-ნაკლებად თანმიმდევრულად და ლოგიკურად არის წარმოდგენილი. პროგრამაში შემავალ ზოგიერთ კურსზე არსებობს დაშვების წინაპირობები, რაც ითვალისწინებს პროგრამაში შემავალი სხვა კურსის/კურსების გავლას.

პროგრამის ფარგლებში, სავალდებულო კურსებთან ერთად, შეთავაზებულია არჩევითი კურსები, რომელიც სტუდენტს საშუალებას აძლევს საკუთარი ინტერესებისა და საჭიროებების შესაბამისად გაიღრმაოს პროგრამის სწავლის შედეგებით განსაზღვრული კომპეტენციები.

ვინაიდან კლინიკური ფსიქოლოგია პრაქტიკული საქმიანობაა, პროგრამაში წარმოდგენილია კურსებში ჩაშენებული პრაქტიკის კომპონენტი, რაც მნიშვნელოვნად განპირობებულია პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის მდიდარი პრაქტიკული გამოცდილებითა და მიმდინარე საქმიანობით.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის შინაარსი, ფაქტობრივად, ითვალისწინებს დარგის უახლეს მიღწევებს. კერძოდ, თითოეული კურსის ფარგლებში გამოყენებული ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა დარგში არსებულ ახალ კვლევებსა და წყაროებს ეყრდნობა.

წინაპირობების არსებობა წინასწარ ცნობილია სტუდენტებისთვის პროგრამის აღწერიდან, რომელიც გამოქვეყნებულია სასწავლო უნივერსიტეტის ვებ გვერდზე. თითოეული კურსისთვის მოთხოვნილი წინაპირობები მითითებულია შესაბამისი კურსის სილაბუსში, რომელიც განთავსებულია უსდ-ის შიდა მოხმარების ელექტრონულ სისტემაში. სისტემავე უზრუნველყოფს კურსების არჩევითობის შეზღუდვას წინაპირობების გათვალისწინებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- კურიკულუმის რუკა;
- უსდ-ის ვებგვერდი;
- სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა;
- აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი;
- პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, რეკომენდებულია:

- პროგრამის სტრუქტურა გადასინჯვა და სწავლის შედეგების შესაბამისად, კურსების სტატუსის მოდიფიკაცია. სავალდებულო კურსების ჩამონათვალში მხოლოდ იმ კურსების გაერთიანება, რომლებიც არსებითად მნიშვნელოვანია სწავლის შედეგების (იქნება ეს კვლევა, პრაქტიკა თუ ტრანსფერული უნარები) მისაღწევად, ხოლო დანარჩენი, უფრო ვიწროდ სპეფიციკური და სიღრმისეული კურსების არჩევითი საგნების ბლოკში გაერთიანება.
- პროგრამის სავალდებულო კურსების იმგვარი კომბინაციის შეთავაზება სტუდენტისთვის, რომ მან შეძლოს კონკრეტული (პროგრამის ხელმძღვანელის მოსაზრებების შესაბამისად) მიმართულებით პრაქტიკული მუშაობის უნარ-ჩვევების შეძენა, ან ეკლექტური მიდგომით მიშუაობისთვის საკმარისი კომპეტენციების შეძენა.
- გადაიხედოს ზოგიერთი კურსის მოცულობა და თითოეული კურსისთვის ოპტიმალური მოცულობის განსაზღვრა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან-

☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები, დიდწილად, შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებსა და უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს (ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, იხ. რეკომენდაციების ნაწილი ქვემოთ). კურსის სწავლის შედეგების პროგრამის სწავლის შედეგებთან და შესაბამის საფეხურთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად არსებობს სწავლის შედეგების რუკა, რომელიც დეტალურად აღწერს, პროგრამის რომელ სწავლის შედეგ(ებ)ზე გადის ესა თუ ის ბლოკი და თითოეულ ბლოკში შემავალი ცალკეული კურსი.

თითოეული სასწავლო კურსის მოცულობა განსაზღვრულია კრედიტებით და 3 ან 6 კრედიტს შეადგენს (პრაქტიკის კურსისა და სამაგისტრო ნაშრომის გარდა). საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განსაზღვრისას, უმეტესწილად, გათვალისწინებულია კურსის შინაარსი, პრაქტიკის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობებისა და დამოუკიდებლად შესასრულებელი დავალებების მოცულობა და შინაარსი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პროგრამის სილაბუსების შესწავლამ აჩვენა, რომ სასწავლო კურსების შინაარსისა და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე, კურსებში განსაზღვრულია შესაბამისი სწავლა-სწავლების მეთოდები. თითოეული კურსის სილაბუსში აღწერილია სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები, კრიტერიუმები და რუბრიკები. შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები აფასებენ კურსის მიზნებით განსაზღვრულ სწავლის თითოეულ შედეგს (იხ. ქვესტანდარტი 2.6).

მიუხედავად ყოველივე თქმულისა, უსდ-ის მიერ მოწოდებული მასალის შესწავლამ აჩვენა, რომ გადასახედი და გასაახლებელი ან/და პრინციპულად შესაცვლელია ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსი, იქნება ეს სათაურის, შინაარსისა თუ ამა თუ იმ კურსში შეტანილი საკითხების მიმართულებით (დეტალურად იხ. ქვემოთ, რეკომენდაციების ნაწილი). სწორედ ვითარებამ განაპირობა ქვემოთ წარმოდგენილი რეკომენდაციების შემუშავება.

კურსის სილაბუსებში მითითებულია სწავლის შედეგების მიღწევისათვის საჭირო სავალდებულო და დამხმარე რესურსები და ლიტერატურა. კურსის სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა ხელმისაწვდომია სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, მათი ელექტრონული ვერსია განთავსებულია ბიბლიოთეკის პორტალზე და სასწავლო პროცესის

ელექტრონული მართვის სისტემის საშუალებით. სასწავლო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის სამეცნიერო ელექტრონული ბაზებზე ხელმისაწვდომობას.

ამრიგად, წარმოდგენილი მასალების შესწავლისა და ვიზიტის მსვლელობისას გამოიკვეთა ცალკეულ კურსებთან დაკავშირებული საკითხები, რომლებმაც ქვემოთ წარმოდგენილი რეკომენდაციების საფუძველი შექმნა (იხ. ქვემოთ, რეკომენდაციების ნაწილი).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კლინიკური ფსოქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა;
- პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები;
- ბიბლიოთეკის დათვალიერება ადგილზე და ბიბლიოთეკართან გასაუბრება;
- სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდი;
- პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

რეკომენდაციები სამ ჯგუფად არის წარმოდგენილი. პირველ ჯგუფში გაერთიანებულია რეკომენდაციები, რომლებიც პროგრამაში შემავალი კურსების შინაარსსა თუ სტრუქტურას შეეხება. მეორე ჯგუფში გაერთიანებულია ახალი კურსების დამატების რეკომენდაციები, ხოლო მესამე ჯგუფში შესულია ის რეკომენდაციები, რომლებიც სილაბუსებსა თუ პროგრამაში მოცემული ტექსტის ტერმინოლოგიურ თუ შინაარსობრივ გამართვას შეეხება.

1. **არსებული კურსები, რომლებიც წარმოდგენილია პროგრამაში**
   - **რაოდენობრივი კვლევის მეთოდები, მონაცემთა დამუშავება SPSS-ის გამოყენებით.** კურსი წარმოდგენილია პროგრამაში სავალდებულო საგნების ჩამონათვალში. მიუხედავად დასახელებისა, შინაარსის შესწავლა აჩვენებს, რომ კურსის ფარგლებში არც ერთი საკითხი არ ეხება რაოდენობრივი კვლევის მეთოდებს და SPSS-ის სწავლებაზე ახდენს ფოკუსირებას, შესაბამისად, სათაური არ შეესაბამება წარმოდგენილი კურსის შინაარსს. კურსი, სილაბუსის მიხედვით, SPPS-ის გარემოში მონაცემების დამუშავების გზების სწავლებას ისახავს მიზნად, თუმცა თუ დეტალურად განვიხილავთ ჩამოთვლილ საკითხებს, ვნახავთ, რომ პირველი ცხრა კვირის განმავლობაში შეთავაზებული ყველა საკითხი და ნაწილობრივ X-XI კვირების მასალაც არ შეესაბამება სამაგისტრო სწავლების დონეს და მოიცავს იმ ცოდნას, რომელსაც ფსიქოლოგის ბაკალავრის ხარისხის მქონე სპეციალისტი ბაკალავრიატზე სწავლის პერიოდში იღებს სტატისტიკის სავალდებულო კურსის ფარგლებში. აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია:
     - შესაბამისობაში მოვიდეს ერთმანეთთან კურსის დასახელება და შინაარსი;
     - კურსის შინაარსი მოდიფიცირდეს იმგვარად, რომ შეესაბამებოდეს სამაგისტრო სწავლების დონეს. მაგალითად, ისეთი საკითხები, როგორიცაა აღწერითი სტატისტიკის ელემენტები, კვლევის ჰიპოთეზა, წერტილთა გაბნების დიაგრამები და ხი-კვადრატის გამოთვლა (სხვა დანარჩენ საკითხებთან ერთად), არ უნდა იყოს წარმოდგენილი სამაგისტრო დონეზე შეთავაზებულ სტატისტიკის კურსში, ვინაიდან ეს ის ბაზისური ცოდნაა, რომელსაც

საბაკალავრო პროგრამა იძლევა (იხ. ქვესტანდარტი2.1, მიღების წინაპირობები).

- **თვისებრივი კვლევის მეთოდები.** კურსი შეთავაზებულია არჩევითი კურსების ჩამონათვალში მაშინ, როდესაც რაოდენობრივი მეთოდები (იხ. ზემოთ) სავალდებულო ბლოკში გვხვდება. ვინაიდან წარმოდგენილი პროგრამა კლინიკური ფსიქოლოგების მომზადებას ისახავს მიზნად, რომლებსაც კონკრეტულ შემთხვევებთან მოუწევთ მუშაობს (განურჩევლად იმისა, ეს შემთხვევა ერთი ინდივიდი, ჯგუფი თუ თემი იქნება), თვისებრივი კვლევის მეთოდებისა და ამგვარად მიღებული მონაცემების დამუშავების უნარების ქონა არსებით მნიშვნელობას იძენს. შესაბამისად, წარმოდგენილი კურსი ერთ-ერთი ძირითადი დისციპლინაა, რომელმაც (კონკრეტული მეთოდების შესწავლაზე ორიენტირებული ჩაღრმავებულ კურსებთან ერთად) საფუძველი უნდა შეუქმნას კურსდამთავრებულის კვლევით კომპეტენციებს. ამიტომ თვისებრივი კვლევის მეთოდების კურსის სილაბუსი, ფაქტობრივად, ხელახლა უნდა დაიწეროს. უფრო კონკრეტულად, რეკომენდებულია:
  - წარმოდგენილ კურსს უძღვებოდეს ის აკადემიური/მოწვეული პერსონალი, რომელსაც შესაბამისი ცოდნა, გამოცდილება და კომპეტენცია გააჩნია კვლევის, კერძოდ, თვისებრივი კვლევის მიმართულებით;
  - კურსის შინაარსი შეესაბამებოდეს დასახელებას, მოიცავდეს თვისებრივ კვლევაში გამოსადეგ მეთოდებს და არ მოიცავდეს ისეთ საკითხებს, როგორიცაა, მაგალითად „სტატისტიკური კვლევის მეთოდები ფსიქოლოგიაში“ (კვირა I).
- **პოზიტიური და ტრანსკულტურალური მიმართულების ფსიქოკონსულტირება** სამკრედიტიანი არჩევითი კურსის სახით არის შეთავაზებული წარმოდგენილ პროგრამაში. კურსის შინაარსის შესწავლა აჩვენებს, რომ ტრანსკულტურალური მიმართულება მხოლოდ ერთ თემას შეადგენს და დანარჩენი კურსი პოზიტიური ფსიქოკონსულტირებას ეთმობა. აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია კურსისთვის შინაარსის შესატყვისი სახელწოდების შერჩევა.

2. ახალი კურსები, რომლებიც არ არის წარმოდგენილი პროგრამაში

- **კვლევის მეთოდებში არჩევითი კურსები.** კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ვიწრო კლინიკური სპეფიციკიდან გამომდინარე, სტუდენტებს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას მოუწევთ კვლევის ამა თუ იმ თვისებრივი მეთოდის გამოყენება, რომელიც სხვებზე მეტად ახლოს დგას და შეესაბამება კლინიკური ფსიქოლოგის საქმიანობას, როგორებიცაა, მაგალითად, ვიზუალური ანალიზი, ნარატივის ანალიზი, ფსიქობიოგრაფიული კვლევა/შემთხვევის შესწავლა, თემატური აპერცეფციის ტესტი, რორშახის მელნის ლაქები და ა. შ. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამაში შეთავაზებულია ზოგიერთი ამ მეთოდთაგანი სხვა კურსის ფარგლებში (ზედაპირული, მიმოხილვითი ფორმატით მხოლოდ), რეკომენდებულია არჩევითი საგნების ჩამონათვალში რამდენიმე ისეთი (სამკრედიტიანი) კურსის დამატება, რომელიც მიმართული იქნება ცალკეული მეთოდის სიღრმისეულად, პრაქტიკულად ათვისებაზე და გამოადგებათ სტუდენტებს სამაგისტრო ნაშრომებზე მუშაობისას.
- **მონაცემთა ანალიზი.** წარმოდგენილი პროგრამის სტუდენტებს სამაგისტრო ნაშრომის შესრულება მოუწევთ. ამისათვის პროგრამაში ფორმალურად არის გათვალისწინებული მონაცემთა დამუშავებისა და ანალიზის სწავლება (ერთი კურსის ფარგლებში), თუმცა

აღნიშული კურსი არ არის საკმარისი (იხ. რეკომენდაცია ზემოთ) სწავლის შედეგებში დეკლარირებული კვლევითი კომპეტენციის მისაღწევად. ვინაიდან სტუდენტებს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას მოუწევთ რაოდენობრივ (სტატისტიკური დამუშავება, SPSS) თუ თვისებრივ (კოდირება, სხვა ტიპის თვისებრივი ანალიზი, Nvivo) მონაცემებთან ურთიერთობა. შესაბამისად, რეკომენდებულია არჩევითი კურსის სახით მსგავსი კურსების შეთავაზება, რომელთაგან სტუდენტები თავიანთი სამაგისტრო ნაშრომიდან გამომდინარე, საჭიროებისამებრ აირჩევენ სათანადო კურსს.

3. ტექსტების ენობრივი და/ან შინაარსობრივი მხარე

- **ენობრივი მხარე.** პროგრამის ფარგლებში შემოთავაზებული კურსების სილაბუსებში მრავლად გვხვდება გრამატიკული და ტექნიკური შეცდომები, რაც უმჯობესია, რომ არ შეხვდეს პოტენციურ და მიმდინარე სტუდენტს (მაგალითად, „პრაქტიკა ჯგუფურ ფსიქოთერაპიაში“: კვირა VII (“გამოცდები მიდინარეობს”), კვირა VIII („კითხვების დასმის ეეფქტური“) და კვირა XI („ტექნიკის დემონსტირება“); „თვისებრივი კვლევის მეთოდები“: კვირა XIII („ნარათაული ანალიზი“), კვირა IV („კვლევის ინსტრუმენტარი“)). შესაბამისად, რეკომენდებულია პროგრამისა და მასში შემავალი ყველა კურსის სილაბუსის გულდასმით გადასინჯვა და ენობრივი თვალსაზრისით გამართვა.
- **შინაარსობრივი დეტალები.** ზოგიერთ სასწავლო კურსში თითოეული კვირისთვის განკუთვნილი თემატიკის აღწერა იმდენად მწირეა, რომ პრაქტიკულად შეუძლებელია იმის გარკვევა, თუ რა საკითხზე/აქტივობაზეა საუბარი. მაგალითად, იხ. კურსები „ფსიქოლოგიური ტრავმა და მასთან დაკავშირებული მდგომარეობები“ (კვირა XII „მკურნალობა“, კვირა XV „ქეისების განხილვა“), „პოზიტიური და ტრანსკულტურალური მიმართულების ფსიქოკონსულტირება“ (კვირა IV „ბალანსის მოდელი და ცხოვრების ოთხი სფერო“, კვირა XIV „ფსიქოდინამიკის სამი სტადია“). შესაბამისად, რეკომენდებულია მეტად ინფორმაციული სილაბუსების (როგორიცაა, მაგალითად, კურსების „სამეცნიერო წერის“ და „პრაქტიკა კოგნიტურ-ბიჰევიორალურ თერაპიაში“ სილაბუსები) შეთავაზება სტუდენტებისთვის.
- **სათაურისა და შინაარსის შესაბამისობა.** პროგრამის სავალდებულო საგნების ჩამონათვალში არის ისეთი კურსები, როგორიცაა პრაქტიკა და სუპერვიზია ფსიქოლოგიურ კონსულტირებაში, პრაქტიკა კოგნიტურ-ბიჰევიორალურ თერაპიაში, პრაქტიკა ჯგუფურ ფსიქოთერაპიაში. ანალოგიური სახელწოდება აქვს კურსს პრაქტიკა კლინიკურ ფსიქოლოგიაში, რომელიც რეალურად წარმოადგენს პროფესიული პრაქტიკის კურსს და პრაქტიკის ობიექტზე ხორციელდება. ზემოთ ჩამოთვლილი კურსების შინაარსის შესწავლამ აჩვენა, რომ რეალურად ეს კურსები სასწავლო კურსების ჩაშენებული პრატიკის ელემენტებით და არა -- პრაქტიკის კურსი (იმ ფორმატით, რასაც პროფესიული პრაქტიკა გულისხმობს). აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია კურსების სახელწოდებისა და შინაარსების ერთმანეთთან თანხმობაში მოყვანა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- პროგრამის ფარგლებში შემოთავაზებული კურსების სილაბუსებში მრავლად გვხვდება გრამატიკული და ტექნიკური შეცდომები, რაც უმჯობესია, რომ არ შეხვდეს პოტენციურ და მიმდინარე სტუდენტს (მაგალითად, „პრაქტიკა ჯგუფურ ფსიქოთერაპიაში“: კვირა VII

(“გამოცდები მიდინარეობს”), კვირა VIII („კითხვების დასმის ეეფქტური“) და კვირა XI („ტექნიკის დემონსტირება“); „თვისებრივი კვლევის მეთოდები“: კვირა XIII („ნარათაული ანალიზი“), კვირა IV („კვლევის ინსტრუმენტარი“)). შესაბამისად, სასურველია პროგრამისა და მასში შემავალი ყველა კურსის სილაბუსის გულდასმით გადასინჯვა და ენობრივი თვალსაზრისით გამართვა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა, სწავლის შედეგების შესაბამისად, უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარებას. **პრაქტიკის კომპონენტი** გათვალისწინებულია პროგრამაში შემავალ ზოგიერთ კურსში ჩაშენებული პრაქტიკისა და პრაქტიკის დამოუკიდებელი კურსის სახით. ეს უკანასკნელი გულისხმობ პრაქტიკის ობიექტზე სუპერვიზიის კონტექსტში ჩართულ დაკვირვებასა და პრაქტიკული დავალებების შესრულებას. წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდულები ისეთ ორგანიზაციებთან, როგორიცაა შპს ქ. თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი, შპს სტრესის მართვისა და მენტალური ჯანმრთელობის ცენტრი, ა(ა)იპ კამარა, ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული მოძრაობა დავითიანნი და შპს ჰედვაისი, რომლებიც პრაქტიკის კომპონენტის ხარისხიანად და მართებულად განხორციელების გარანტს წარმოადგენენ. პროგრამა, მოცემული ფორმით, ნაწილობრივ, ხოლო რეკომენდაციების გათვალისწინებისა და ერთი წლის განმავლობაში პროგრამის განახლების პირობებში, სრულად უწყობს ხელს სტუდენტის **კვლევითი უნარების** განვითარებას ისეთი კურსების ფარგლებში, როგორებიცაა პიროვნების კლინიკური შესწავლის მეთოდები, სამეცნიერო წერა, მონაცემთა დამუშავება SPSS-ის გამოყენებით (იხ. ქვესტანდარტი 2.3 და შესაბამისი რეკომენდაციები) და სამაგისტრო ნაშრომი. კონკრეტული კვლევის ფარგლებში თითოეულ სტუდენტს უწევს შესაბამისი კვლევის დაგეგმვა, მონაცემთა შეგროვება, დამუშავება, ანალიზი და ინტერპრეტაცია და კვლევითი ანგარიშის დაწერა სამაგისტრო სწავლების მეოთხე სემესტრში, როდესაც სტუდენტები მუშაობენ სამაგისტრო კვლევებზე. ყველა ამ კვლევით კომპონენტში სტუდენტებს სუპერვიზიას/ხელმძღვანელობას უწევენ კლინიკური ფსიქოლოგიის დარგში წამყვანი სპეციალისტები, რომლებიც პროგრამასა და

თითოეული კურსის სილაბუსში განსაზღვრული წესით აფასებენ სტუდენტების კვლევითი საქმიანობას. სამაგისტრო ნაშრომს სტუდენტი საკუთარი ინტერესებისა და პროგრამის პედაგოგების მიერ შეთავაზებული საკვლევი თემების შეჯერების საფუძველზე ირჩევს. ხელმძღვანელს (თანახელმძღვანელს) სტუდენტი პედაგოგის საქმიანობის სფეროს საკუთარ კვლევის ინტერესთან შესაბამისობისა და საკუთარი ინტერესების მიხედვით ირჩევს. თითოეული სტუდენტი თავის ხელმძღვანელს (თანახელმძღვანელს), სამაგისტრო ნაშრომის მომზადების პროცესში, ხვდება რეგულარულად, რათა სტუდენტს ჰქონდეს კვლევის დინამიკაზე ანგარიშგების შესაძლებლობა, ხოლო პედაგოგს -- სათანადო კონსულტირების საშუალება. რაც შეეხება **ტრანსფერულ უნარებს** (პრაქტიკაში მუშაობა, კვლევის წარმოება, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა), ზოგიერთი ისეთი სასწავლო კურსი მიმართულია ამ უნარების განვითარებაზე, როგორიცაა პრაქტიკა და სუპერვიზია ფსიქოლოგიურ კონსულტირებაში, პრაქტიკა ჯგუფურ ფსიქოთერაპიაში, ფსიქიკური ჯანმრთელობა და სხვ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სამაგისტრო პროგრამა და მასში შემავალი კურსების სილაბუსები; • კლინიკური პრაქტიკის ორგანიზაციებსა და სასწავლო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები; • პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებელ პერსონალთან ინტერვიუები.
რეკომენდაციები: ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, რეკომენდებულია: • კვლევის კომპონენტის გაძლიერება კვლევის მეთოდების კურსების მოდიფიკაციითა და პროგრამაზე მეტად მორგებით და დამატებითი არჩევითი კურსების შეთავაზებით კვლევის მეთოდების მიმართულებით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5. სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში სწავლება ხორციელდება ლექციების, სემინარებისა და პრაქტიკული მუშაობის ფორმატში ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით, რომლებიც ავსებს ერთმანეთს და სტუდენტი/ლექტორი პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევამდე მიჰყავს, კერძოდ, პროგრამაში შემავალ კურსებში გამოყენებულია სწავლების ინტერაქტიული მეთოდები, როგორებიცაა პრაქტიკაზე დაფუძნებული სწავლება, ლექცია, სემინარი, დისკუსია და დებატები, ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის მეთოდები, შემთხვევის ანალიზი, პრეზენტაცია, უკუკავშირის მეთოდები, პრაქტიკული მუშაობა, კეთებით სწავლება და შემთხვევების ანალიზი.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ამ ეტაპზე შეუძლებელია გამოყენებული მეთოდების ეფექტურობისა და უკუკავშირის შესახებ მსჯელობა, ვინაიდან წარმოდგენილი პროგრამა ახალია და ჯერ სტუდენტი/კურსდამთავრებული არ ჰყოლია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანამანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- საგანამანათლებლო პროგრამის სტანდარტი;
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის ფარგლებში სტუდენტის მიერ განხორციელებული აქტივობების შეფასება მრავალ კომპონენტიანია და თითოეული კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასებას უზრუნველყოფს, რაც კონკრეტული, გაზომვადი რუბრიკების გამოყენებით მიიღწევა. შეფასება ეფუძნება ისეთ პრინციპებს, როგორიცაა, ობიექტურობა, სანდოობა, ვალიდობა და გამჭვირვალობა; ხორციელდება 100 ქულიანი სისტემით, რომლიდანაც შუალედური შეფასების წილი 70 ქულას, ხოლო დასკვნითი შეფასების წილი -- 30 ქულას შეადგენს.

სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს. შეფასების თითოეული კომპონენტისთვის, შეფასება ეყრდნობა წინასწარ განსაზღვრულ სწავლების მიზანსა და დავალების ფორმაზე ორიენტირებულ, ზუსტ, მკაფიო

კრიტერიუმებს და მასზე დაყრდნობით შემუშავებულ შეფასების სქემებს/რუბრიკებს. სასწავლო კურსებში სტუდენტმა შუალედურ და დასკვნით შეფასებებში უნდა გადალახოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი დადებითი შეფასების დასაფიქსირებლად და ეს ზღვარი შეადგენს 30%-ს.

სილაბუსების შეფასების ნაწილში განსაზღვრულია ის ძირითადი შეფასების მეთოდები, რომლებიც გამოიყენება პროგრამის კომპონენტის/კურსის ფარგლებში. სწავლის შედეგების გასაზომად ცალკეული კურსის ფარგლებში შემუშავებულია შეფასების კრიტერიუმები და შესაბამისი რუბრიკები, რაც მეტწილად უზრუნველყოფს კურსის მიზნებითა და სწავლის შედეგებით განსაზღვრული სწავლის მიღწევების შეფასებას როგორც პროგრამის თითოეული კურსის, ასევე თითოეული კომპონენტის (სპეციალობის, პრაქტიკისა და კვლევის კომპონენტების) ფარგლებში.

კურსის ფარგლებში გამოყენებული შეფასების მეთოდები, შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები წინასწარ არის ცნობილი სტუდენტებისთვის. სასწავლო კურსის ფარგლებში დაგეგმილი შეფასების სისტემის გაცნობას ლექტორი დამატებით ახორციელებს პირველივე ლექციაზე.

უნივერსიტეტში ეფექტურად ოპერირებს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა, რომელშიც, სხვა მოდულებთან ერთად, უზრუნველყოფს სტუდენტების ყოველკვირეულ შეფასებას, ლექტორის მიერ სასწავლო პროცესის მონიტორინგს, სტუდენტთა შეფასების გამჭვირვალობას, სტუდენტთა და ლექტორთა ინფორმირებას სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ. შეფასების ელექტრონულ უწყისში, სტუდენტთა ყოველკვირეული შეფასებების გარდა, აისახება პრეზენტაციებისთვის, შუალედურ, დამატებით და დასკვნით გამოცდებში მიღებული შეფასებებიც. აღნიშნულ სისტემაში ავტომატურად ჯამდება სტუდენტის მიმდინარე ქულები, განისაზღვრება მისი დასკვნით თუ განმეორებით გამოცდაზე დაშვების წინაპირობები და ითვლება საბოლოო შეფასება. თითოეულ სტუდენტს საკუთარი სახელითა და პაროლით შეუძლია სისტემაში შესვლა და საკუთარი მიმდინარე და წარსული შეფასებების ნახვა.

ამავე სისტემით წარმოებს სტუდენტთა შუალედური და ფინალური შეფასებები. პრაქტიკული კომპონენტისა და სამაგისტრო ნაშრომების შეფასება კოლეგიალური ფორმატით, უნივერსიტეტში შექმნილი კომისიის მიერ ხდება. ამრიგად, სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედებს შეფასების თანასწორი და სამართლიანი სისტემა. ასევე, არსებობს შეფასების გასაჩივრების მექანიზმი, რომელიც აძლევს სტუდენტს შესაძლებლობას, საფუძვლიანი ეჭვის შემთხვევაში, საპრეტენზიო განაცხადით მიმართოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად. განაცხადი იმავე სისტემის მეშვეობით, ელექტრონულად კეთდება. საჩივრის განხილვისა და გადაწყვეტილების მექანიზმები გაწერილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში.

სამაგისტრო ნაშრომს სტუდენტი წარმოადგენს პროგრამის დასასრულს, ყველა სავალდებულო კურსის წარმატებით დასრულების შემდეგ. მნიშვნელოვანია, სამაგისტრო ნაშრომი არ შეიცავდეს პლაგიატს (ნაშრომები მოწმდება Turnitin-ით) და აკმაყოფილებდეს კრიტერიუმებს, რომელიც წარმოდგენილია სამაგისტრო ნაშრომის შუალედური შეფასების ფორმაში. ნაშრომი რეცენზირების შემდეგ საჯარო დაცვისთვის წარედგინება შესაბამის კომისიას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა და მასში შემავალი კურსების სილაბუსები;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა/დემონსტრირება ვიზიტის მსვლელობისას;
- პროგრამის ხელძღვანელთან და აკადემიურ პერსონალთან, თვითშეფასების ჯგუფთან და ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუები.

რეკომენდაციები: • კურსების შინაარსის, სწავლის შედეგებისა და მათი შეფასების მეთოდების ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, რეკომენდებულია გადაისინჯოს ის კურსები, რომლებშიც ჩაშენებული პრაქტიკის ელემენტებია წარმოდგენილი და სათანადოდ გაიწეროს პრაქტიკული საქმიანობის შეფასების კრიტერიუმები და კომპონენტები.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ **მეტწილად მშესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუდენტების ინფორმირების მექანიზმთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუ-ში, სწავლის დაწყებამდე პირველკურსელებისთვის იმართება საორიენტაციო შეხვედრები, რომლის ფარგლებშიც პროგრამისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლები მათ სასწავლო პროცესთან დაკავშირებით აწვდიან ინფრომაციას. სტუდენტები ერკვევიან კონკრეტული პროგრამის სტრუქტურულ და შინაარსობრივ დეტალებში და, ასევე, იმაში, თუ რა პროცედურებსა და შესაძლებლობებს უკავშირდება სეუ-ში სწავლა.

სასწავლო უნივერსიტეტის ბაზაზე არსებობს კარიერული განვითარების ცენტრი, რომლის მიზანია სტუდენტების კარიერული განვითარებისათვის საჭირო უნარების გაუმჯობესება, ამ მიმართულებით სტუდენტებისა და კურსდამთვრებულებისათვის გარკვეული შესაძლებლობების შეთავაზება. ყოველწლიურად იმართება დასაქმების ფორუმი, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებს მოწვეულ დამსაქმებლებთან შეუძლიათ გასაუბრება, კონსულტაციის მიღება. კარიერული განვითარებისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გასაუმჯობესებლად იმართება ტრენინგები, მასტერკლასები, რომელთა ფარგლებშიც განიხილება და პრაქტიკულად ისწავლება ისეთი საკითხები, როგორიცაა CV/რეზიუმესა და, სამოტივაციო წერილზე მუშაობა, პროფესიული გასაუბრებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების დახვეწვა. სტუდენტები და კურსდამთავრებულები არსებული ვაკანსიების შესახებ პირადი ელექტრონული ფოსტის მეშვეობით იღებენ უსდ-სგან შეტყობინებებს.

სასწავლო უნივერსიტეტის ბაზაზე ფუნქციონირებს კულტურისა და სპორტის სამსახური, რომელიც სტუდენტებს სპორტულ აქტივობებში, კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის შესაძლებლობას სთავაზობს, რასაც სასწავლო უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურაც უწყობს ხელს. თუმცა კორონავირუსით გამოწვეული სიტუაციიდან გამომდინარე, აღნიშნული მიმართულებით მუშაობა დროებით შეჩერებულია.

სასწავლო უნივერსიტეტის მხრიდან სტუდენტებისათვის მიწოდებული საკონსულტაციო თუ სტუდენტური სერვისების სამუშაო გეგმისა და პროცესის შეფასება შესაძლებლი გახდა სასწავლო უნივერსიტეტის მოწოდებული დოკუმენტებისა (სტუდენტურ სერვისებში ჩართული პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები) და ვიზიტის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე. თუმცა რთულია აღნიშნული მომსახურებების შეფასებისა და მოქმედების ეტაპის სრულფასოვანი აღწერა.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას დადასტურდა, რომ ყოველწლიურად სტუდენტები აფასებენ სასწავლო უნივერსიტეტის შეთავაზებულ სერვისებს. თუმცა კვლევის შედეგები ექსპერტთათვის განკუთვნილ დოკუმენტებში არ ასახულა, ამიტომ ამ მიმართულებით რთულია დასკვნაში შემოწმებისა და მოქმედების ეტაპების განხილვა.

ვინაიდან პროგრამა ახალია, ექსპერტები შეფასების პროცესში შეხვდნენ დაწესებულების სოციალური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს. შეფასების ფარგლებში გამოვლინდა, რომ სტუდენტები ინფორმირებულები არიან სასწავლო უნივერსიტეტში არსებული საკონსულტაციო მომსახურების შესახებ. მათ, საჭიროებისამებრ, შეუძლიათ, პირადად მიმართონ ლექტორებსა და ადმინისტრაციას. სოციალური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებმა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა ისაუბრეს პანდემიის პერიოდში ვირტუალური კონსულტაციის საჭიროებიდან გამომდინარე ცხელი ზუმ პანელის მომსახურების დანერგვის შესახებ. სტუდენტები აღნიშნული სერვისით აქტიურად სარგებლობენ. ამ გზით მათ ნებისმიერ შეკითხვაზე ოპერატიულად შეუძლიათ პასუხის მიღება. როგორც დაწესებულების წარმომადგენლებთან და სტუდენტებთან საუბრისას გახდა ნათელი, სასწავლო უნივერსიტეტი მაქსიმალურად ცდილობს მოერგოს კორონავირუსით წარმოქმნილ გამოწვევებს, რაზეც მეტყველებს ტექნიკური უზრუნველყოფის კიდევ უფრო დახვეწვა და გაუმჯობესება (იხ. ქვესტანდარტი 4.3).

სტუდენტები საკონსულტაციო საათების შესახებ ინფორმაციას პირადი ელექრონული პორტალის მეშვეობით იღებენ (https://seu.ini.ge). აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია სასწალო კურსების სილაბუსებშიცაა ასახული. აკადემიური და მოწვეული პერსონალის ფუნქციები და მოვალეობები, მათი სამუშაო აღწერილობები ითვალისწინებს სტუდენტთა კონსულტაციებისათვის გამოყოფილ საათებს.

აღსანიშნავია, რომ სასწავლო უნივერსიტეტი მუშაობს ინდივიდუალური საჭიროებების მქონე სტუდენტებისათვის შესაბამისი სასწავლო გეგმისა და ცხრილის შემუშავებაზე. როგორც ვიზიტის მსვლელობისას გაირკვა, დაწესებულება თანამშრომლობს პატიმარ სტუდენტებთან (სულ 7 ასეთი სტუდენტი ჰყავთ). მათთვის შექმნილია ინდივიდუალური სასწავლო ცხრილები. მათ შორის ერთ-ერთი არის ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი.

სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელმა King's College-თან (დიდი ბრიტანეთი) და ფროიდის უნივერსიტეტთან თანამშრომლობის შესაძლებლობაზე ისაუბრა. თანამშრომლობის ფარგლებში სტუდენტები კვლევით პროექტებში ჩართვას შეძლებენ. ვიზიტის განმავლობაში განიხილეს ფსიქოლოგიური კონსულტირების ცენტრის გახნის იდეა, სადაც კლინიკური ფსიქოლოგიის სტუდენტებს პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაუმჯობესება შეეძლებათ. როგორც აღინიშნა, გეგმის მიხედვით, ისინი თავად ჩაერთვებიან კონსულტირების პროცესში.

ვინაიდან სამაგისტრო პროგრამა ახალია, რთულია კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრანტების კონფერენციებში, კვლევით პროექტებსა თუ ღონისძიებებში ჩართულობის მაჩვენებელზე საუბარი. თუმცა სოციალური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამების სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუირების შედეგების გათალისწინებით, გარკვეულწილად შესაძლებელია ამ მიმართულებით მსჯელობა და დასკვნების გაკეთება. სასწავლო უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული დოკუმენტებისა და დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება, რომ სეუ-ში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში, კვლევით პროექტებში, გაცვლით პროგრამებში. ვიზიტის მსვლელობისას დადგინდა, რომ სტუდენტები, პირად ელექტრონულ ფოსტაზე, აღნიშნულის შესახებ ხშირად იღებენ ინფორმაციას. გარდა ამისა, სიახლეებს მობილური შეტყობინებების სახითაც ეცნობიან. კონფერენციებზე, გაცვლითი პროგრამებისა და კვლევითი პროექტების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია სეუ-ს ვებგვერდზე (https://www.seu.edu.ge).

სასწავლო უნივერსიტეტი თანამშრომლობს როგორც აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტებთან, ისე კურსდამთავრებულებთან. ისინი ინფორმაციას იღებენ სხვადასხვა პროექტისა თუ კონფერენციებისა და ვაკანსიების შესახებ. ვიზიტის ფარგლებში დადასტურდა, რომ სტუდენტებისთვის მიღებული ინფორმაცია ნაკლებად წარმოადგენს მათი ინტერესის სფეროს, კერძოდ, მათ ნაკლებად აქვთ წვდომა მათთვის საინტერესო პროექტებზე, კონფერენციებსა თუ გაცვლით პროგრამებზე.

ვინაიდან კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა ახალია, რთულია დარწმუნებით იმის შესახებ მსჯელობა, თუ რა იქნება მომავალში. თუმცა მომიჯნავე დარგის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მხრიდან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, შესაძლებელია ამ მომსახურების შეფასება.

რაც შეეხება ინტერნაციონალიზაციის საკითხს, სეუ-ს უცხოეთის არაერთ უნივერსიტეტთან აქვს ხელშეკრულება გაფორმებული. დოკუმენტებისა და ვიზიტის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს კონკრეტულ უნივერსიტეტებში შეეძლებათ გაცვლითი პროგრამებით სარგებლობა.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დებულებასა და თვითშეფასების ანგარიშში ნახსენებია ოთხი უცხოური უნივერსიტეტი. ამ უნივერსიტეტების ვებგვერდებზე განთავსებული

ინფორმაციის მიხედვით, ორ მათგანთან – გდანსკის უნივერსიტეტი (პოლონეთი-სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი), ლატვიის უნივერსიტეტი (ლატვია-პედაგოგიკის, განათლების ფსიქოლოგიისა და ხელოვნების ფაკულტეტი) – შესაძლებელია ფსიქოლოგიის მიმართულებით თანამშრომლობა.

გარდა ამისა, სამაგისტრო პროგრამის ინტერნაციონალიზაციას ხელს უწყობს არსებული არჩევითი ინგლისურენოვანი კურსები და სავალდებულო, დამხმარე მასალები. სასწავლო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური, რომლის მოვალეობაა უცხოურ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა, სტუდენტების გაცვლით პროგრამებსა და პროექტებში ჩართვა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საკონსულტაციო მომსახურებაში ჩართულ პირთა, აკადემიური, მოწვეული/ადმინისტრაციული პერსონალის ფუნქციები და მოვალეობები, მათი სამუშაო აღწერილობები;
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული მემორანდუმები;
- უსდ-ს მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები - პროფესორის/ლექტორის შეფასების ანგარიში;
- უსდ-ს ვებგვრდი - https://www.seu.edu.ge;
- სოციალური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, კვლევების მიმართულებით ვიცე-რექტორთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მაგისტრატურის სტუდენტებს ხელმძღვანელობას უწევენ ლექტორები, რომელთაგან უმეტესობას სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება შესაძლებლობას აძლევთ სტუდენტებს სათანადო ხელმძღვანელობა გაუწიონ.

როგორც ინტერვიუების მსვლელობისას გირკვა, დაწესებულებაში მიღებულია გადაწყვეტილება, რომ მაგისტრანტებს უნდა ხელმძღვანელობდნენ დოქტორის ხარისხის მქონე პროფესორები, რომელთაც საკვლევი თემის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება აქვთ, ხოლო თანახელმძღვანელობა შეუძლია ნებისმიერ სხვა ჩართულ პირს, იქნება ეს მოწვეული

აკადემიური პერსონალი თუ პრაქტიკოსები, რომელთაც, ასევე, გააჩნიათ საკვლევი თემის შესაბამისი კომპეტენცია და გამოცდილება.

თუმდა, უნდა ითქვას, რომ სამაგისტრო ნაშრომის შესრულების სტანდარტში აღნიშნულია, რომ ხელმძღვანელი შეიძლება იყოს შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი ან დარგში პრაქტიკული გამოცდილების მქონე სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური ან მოწვეული პერსონალი. კონკრეტული თემის სპეციფიკის გათვალისწინებით, პრიორიტეტი შეიძლება მიენიჭოს ხელმძღვანელის სამეცნიერო ან პრაქტიკულ გამოცდილებას. სხვა სიტყვებით, არ არის მითითებული ნაშრომის ხელმძღვანელისთვის დოქტორის ხარისხის ქონის ვალდებულება. ამასთან, სამაგისტრო ნაშრომის შესრულების სტანდარტი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობებზე ინფორმაციას, ფაქტობრივად, არ მოიცავს.

რაც შეეხება პოტენციური სამეცნიერო ხელმძღვანელების სამეცნიერო-კვლევით გამოცდილებას, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან და ვიზიტის მსვლელობისას მიღებული ინფორმაციიდან ირკვევა, რომ პროგრამის განმახორციელებელთა უმრავლესობა მდიდარი პრაქტიკული გამოცდილებით გამოირჩევა და შედარებით ნაკლებად კვლევითი გამოცდილებით (იხ. ქვესტანდარტი **4.2**).

უსდ-ში განსაზღვრული აქვს, რომ ერთ პროფესორს ერთდროულად შეუძლია 4 მაგისტრანის ხელმძღვანელობა.

საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუ-ში საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომებზე მუშაობის დაწყებამდე სტუდენტებს თემის შესარჩევად მიეწოდებათ საკვლევი თემების ჩამონათვალი (რომლის სამუშაო ვერსია სტუდენტებთან განიხილება), შესაძლებელია საკვლევი თემის დამოუკიდებლად შერჩევა. სტუდენტები ინფორმირებულები არიან არჩევანის გაკეთების შესაძლებლობის შესახებ. კერძოდ, მათ განემარტებათ, რომ მათი გადასაწყვეტია, შეთავაზებული თემების ჩამონათვალიდან აირჩევენ კვლევის საკითხს, თუ თავად შეარჩევენ მას. თუ სტუდენტის მიერ შერჩეული თემის შესატყვისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალი არ მოიძებნა უსდ-ში, სასწავლო უნივერსიტეტი იწვევს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალს.

ვინაიდან სამაგისტრო პროგრამა ახალია, შეუძლებელია შეფასდეს სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების ჩართულობის, სტუდენტებთან მუშაობის ხარისხი და სტუდენტთა კმაყოფილება. თუმცა სოციალური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებთან ინტერვიუირებისას აღინიშნა, რომ აკადემიური/მოწვეული პერსონალის მხრიდან სამაგისტრო ნაშრომებზე მუშაობისას, მოულოდნელი ეპიდემიური სიტუაციით გამოწვეული ცვლილებების მიუხედავად, განსაკუთრებულ მხარდაჭერას იღებენ. სტუდენტები წინასწარ არიან ინფორმირებულები კვლევის ეტაპების შესახებ. ხელმძღვანელები სტუდენტებს კვლევის დიზაინსა და პროექტის მართვაში, თეზისის/სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის/დისერტაციის წერის პროცესში, საჭიროებისამებრ, უწევენ კონსულტაციას. კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ სამაგისტრო ნაშრომთან დაკავშირებით სასწავლო უნივერსიტეტმა წინასწარი მოსამზადებელი შეხვედრა გამართა, რათა სტუდენტების ყველა კითხვისთვის გაეცათ პასუხი სამაგისტრო ნაშრომის შესრულებასთან დაკავშირებით.

საქარველოს ეროვნული უნივერსიტეტის ბაზაზე გამოიცემა სამეცნიერო ჟურნალი „SEU & SCIENCE“, სადაც სტუდენტებს შეუძლიათ, გამოაქვეყნონ საკუთარი ნაშრომები, თუმცა, როგორც კურსდამთავრებულებთან ინტერვიუირებისას ირკვევა, მათ ინფორმაცია არ ჰქონიათ ამის შესახებ. კურსდამთავრებლებმა გამოხატეს ინტერესი და აღნიშნეს, რომ მსგავსი ჩართულობა მეტად წაახალისებდათ და, გაზრდიდა მათ მოტივაციას.

ვიზიტისას ვიცე-რექტორმა კვლევის მიმართულებით ექსპერტებს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პრინციპის გარდა, დეტალურად გააცნო ის გეგმები, რომელთა განხორციელებსაც სამომავლოდ აპირებენ. საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი - სეუ რამდენიმე ევროპულ

უნივესიტეტთან (უკრაინა, ალბანეთი) ერთობლივად გეგმავს სამაგისტრო ნაშრომების პლატფორმის შექმნას, რომლის ფარგლებშიც სხვადასხვა ქვეყნის სტუდენტებს ერთად შეეძლებათ სამაგისტრო ნაშრომებზე მუშაობა. აღნიშნული საკითხი, განხორციელების შემთხვევაში, ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით განვითარების კარგ შესაძლებლობას წარმოადგენს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ მაგისტრანტების ხელმძღვანელების და თანახელმძღვანელების პირადი საქმეები; ▪ სამაგისტრო ნაშრომის შესრულების სტანდარტი; ▪ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; ▪ ხელშეკრულების ნიმუშები; ▪ ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა - დებულება; ▪ მემორანდუმები უცხოურ უნივერსიტეტებთან; ▪ უცხოური უნივერსიტეტების ვებგვერდები: https://www.riseba.lv/en, https://www.ku.lt/en/, https://en.ug.edu.pl, https://www.lu.lv/en/; ▪ სოციალური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, კვლევების მიმართულებით ვიცე-რექტორთან ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, სასურველია, რომ: • უსდ-ში არსებობდეს დოკუმენტი, რომელშიც გაწერილი იქნება სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობები; • სტუდენტები ინფორმირებულნი იყვნენ სამეცნიერო ჟურნალის „SEU & SCIENCE”- ის შესახებ ჰქონდეთ ინფრომაცია.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1. ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში, ძირითადად, ჩართულია სათანადო კვალიფიკაციისა და კომპეტენციის აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომელიც ფლობს შესაბამის სამეცნიერო ხარისხსა და აქვს პრაქტიკული მუშაობის რამდენიმეწლიანი გამოცდილება. ამასთან, ერთეულ შემთხვევებში აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირად საქმეებში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომების რაოდენობა მწირია, ან არ შემოიფარგლება ბოლო 5 წლის პერიოდით. ამასთან, ზოგიერთი სასწავლო კურსის შინაარსი/შედეგები ნაკლებად შეესაბამება იმ აკადემიური/მოწვეული პერსონალის კომპეტენციასა და კვალიფიკაციას, რომელმაც ეს კურსი უნდა წაიყვანოს.

მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება უსდ-ს მოწოდებული პირადი საქმეების საფუძველზე. ერთეული შემთხვევების გარდა, მოწვეულ პერსონალს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი კომპეტენცია აქვს.

როგორც პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუირებისას გაირკვა, პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალით, უპირატესად, მისი წარდგინებისა და რეკომენდაციების საფუძველზე დაკომპლექტდა. თუმცა, პერსონალმა აკადემიური პოზიციები ღია კონკურსის გზით დაიკავა.

უსდ-ს შემუშავებული აქვს პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომლითაც რეგულირდება სტუდენტთა და მასწავლებელთა

თანაფარდობა, რომელიც წარმოდგენილი პროგრამისთვის არის 22/15, რაც პროგრამის მდგრადობის წინაპირობას ქმნის. ასევე, გათვალისწინებულია აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამიზნე ნიშნულები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამაზე 30 სტუდენტის (2 ჯგუფის) მიღებას გეგმავენ.

კლინიკური ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში განხორციელებაში ჩართულია სულ 14 ადამიანი, მათ შორის, 8 აკადემიური პერსონალი (3 პროფესორი, 2 ასოცირებული პროფესორი და 3 ასისტენტ პროფესორი, მათგან 3 აფილირებული). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვიზიტის მსვლელობისას გაირკვა, რომ მიმდინარე ვითარების მიხედვით, პროგრამაში, 3-ის ნაცვლად, სულ 6 აფილირებული აკადემიური პერსონალია ჩართული, თუმცა ეს განახლებული ინფორმაცია არ იყო ასახულ უსდ-ის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში.

არსებულ დოკუმენტებზე დაყრდნობით, მაგისტრანტების სამეცნიერო ხელმძღვანელებს აქვთ შესაბამისი კვალიფიკაცია. უმეტესობის პირადი საქმეები მათ სამეცნიერო კვლევით საქმიანობაზე მეტყველებს, თუმცა ზოგ შემთხვევაში ნაკლებად დასტურდება ბოლო პერიოდში აქტიური კვლევითი საქმიანობა (როგორც კვლევის წარმოება, ისე ნაშრომების გამოქვეყნება) (იხ. ქვესტანდარტი **4.2**).

აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვაში შედის ისეთ საქმიანობებს, როგორიცაა სილაბუსების შემუშავება და მათი პერიოდული გადასინჯვა; სალექციო მეცადინეობების ჩატარება; პრაქიკული სასემინარო დავალებების მომზადება; შუალედური და დასკვნითი გამოცდების საკითხების მომზადება; სასწავლო მეცადინეობებისთვის ქვიზების, პრეზენტაციების, პრაქტიკული სავარჯიშოების მომზადება; სტუდენტებისათვის კონსულტირების გაწევა; მონაწილეობა შესაბამისი პროგრამის სამეცნიერო თუ პრაქტიკულ აქტივობებში; საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებაში ჩართვა.

ვინაიდან წარმოდგენილი პროგრამა ახალია, შეუძლებელია შეფასდეს აკადემიური და მოწველი პერსონალის სტუდენტების კონსულტირების, პროგრამის განვითარების პროცესში ჩართულობა. თუმცა, ვინაიდან სამაგისტრო პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაშიც არის ჩართული, უკვე არსებული კვლევის შედეგები მოწმობს პერსონალის მხრიდან სტუდენტების კონსულტირების პროცესში ჩართულობას.

კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელს პროგრამის შემუშავებისათვის შესაბამისი კვალიფიკაცია, განათლება და პრაქტიკული გამოცდილება აქვს. ვინაიდან პროგრამა ახალია, შეუძლებელია შევაფასოთ ხელმძღვანელის პროგრამის განხორციელებაში, სტუდენტების კონსულტირებაში ჩართულობა, თუმცა ვიზიტისას მკაფიოდ გამოჩნდა ხელმძღვანელის მზაობა და ინტერესი პროგრამის სამომავლო განვითარებასთან დაკავშირებით.

უსდ-ის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და ვიზიტის მსვლელობისას მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დასტურდება, რომ სტუდენტები უზრუნველყოფილნი არიან საჭირო რაოდენობის ადმინისტრაციული თუ დამხმარე პერსონალით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამუშაო აღწერილობები;
- პერსონალის პირადი საქმეები;
- პროგრამის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- უსდ-ის მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობა;
- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამუშაო აღწერილობის დოკუმენტი;

- აკადემიურ, მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის სამსახურთან, მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, რეკომენდებულია:

- გულდასმით შეირჩეს აკადემიური/მოწვეული პერსონალი კონკრეტული კურსების წასაყვანად იმ თვალსაზრისით, რომ, ერთი მხრივ, კურსის შინაარსი და სწავლის შედეგები (მაგალითად, თვისებრივი კვლევის მეთოდების) და, მეორე მხრივ, პერსონალის კვალიფიკაცია და გამოცდილება, შესაბამისობაში მოდიოდეს ერთმანეთთან.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, სასურველია:

- მიუხედავად იმისა, რომ უსდ სასწავლო უნივერსიტეტია, აკადემიური/მოწვეული პერსონალი მეტად აქტიური იყოს კვლევითი საქმიანობის (როგორც კვლევის წარმოების, ისე გამოქვეყნების) თვალსაზრისით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ უზრუნველყოფს პროგრამაში ჩართული პირების შეფასებას. შეფასებაში მონაწილეობას იღებენ სტუდენტები, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, პროგრამის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფისა და ადამიანური რესურსის მართვის სამსახური. თითოეული მათგანი კონკრეტულ ასპექტს აფასებს, როგორიცაა სამუშაო აღწერილობა, ოპერაციული მიზნები, საბაზისო კომპეტენციები, ქცევითი კომპეტენციები და კვლევითი საქმიანობა. უსდ-ში აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს აფასებენ ყოველი სემესტრის ბოლოს. ვინაიდან წარმოდგენილი პროგრამა ჯერ არ ხორციელდება, ამგვარი შეფასება ჯერ არ ჩატარებულა ამ პროგრამის ფარგლებში.

უსდ პერსონალს აქტიურად სთავაზობს ტრენინგებში მონაწილეობას სწავლება-სწავლის, აკრედიტაციის-ავტორიზაციის, შეფასების სისტემის, სწავლის შედეგების გაწერის შესახებ.

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ ზრუნავს პროგრამაში ჩართული პირების განვითარებაზე. როგორც ვიზიტის მსვლელობისას ჩატარებული ინტერვიუებიდან ირკვევა,

პროგრამაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შესაძლებლობა აქვს, მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო კვლევებსა თუ კონფერენციებში. სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედებს შიდა საგრანტო სისტემა, რომელიც პერსონალს კვლევით პროექტებში ჩართვის შესაძლებლობას აძლევს. ასევე, სასწავლო უნივერსიტეტში ტარდება სამეცნიერო კონფერენციები, საკონფერენციო მასალები კი შემდგომ ჟურნალის სახით გამოიცემა. აღსანიშნავია, რომ პერსონალი არც თუ ისე აქტიურად არის ჩართული ამ პროცესებში, თუმცა სრულად ინფორმირებულია აღნიშნული განმავითარებელი ღონისძიებების თაობაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • უსდ-ს ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები; • ტრენინგის მასალები; • კონფერენციის მასალები; • აკადემიურ, მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარსხის სამსახურთან, სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, სასურველია: • აკადემიური და მოწვეული პერსონალის მოტივირება, რათა მეტად აქტიურად დაკავდნენ როგორც კვლევით საქმიანობით (კვლევა და გამოქვეყნება), ისე უსდ-ის მიერ შეთავაზებულ განმავითარებელ აქტივობებში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3. მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ვინაიდან, პანდემიის პირობებში პროგრამის შეფასება განხორციელდა თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, მატერიალური რესურსების შესახებ ინფორმაციის დაზუსტება ექსპერტთა მხრიდან შემოფარგლული იყო თვითშეფასების ანგარიშით და ინტერვიურების მიმდინარეობისას ინფორმაციის დაზუსტებით. რომლის ფარგლებშიც დადგინდა, რომ საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტში არსებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. ინტერვიურების პროცესში გაირკვა, რომ კორონავირუსით გამოწვეული სიტუაციიდან გამომდინარე, სასწავლო უნივერსიტეტი, საჭიროების შემთხვევაში, ლექტორებსა და სტუდენტებს გადასცემს კომპიუტერებს, რათა სასწავლო

პროცესი ხარვეზების გარეშე წარიმართოს. ბოლო პერიოდში შექმნილ ვითარებაში კიდევ უფრო დაიხვეწა სტუდენტებისათვის განკუთვნილი ელექტრონული პორტალი (https://seu.ini.ge), რომელიც სტუდენტებს (და აკადემიურ/მოწვეულ/ადმინისტრაციულ პერსონალს) სრულ ელექტრონულ სერვისს სთავაზობს. სასწავლო უნივერსიტეტში არსებული ბიბლიოთეკა სტუდენტებს, ამ ეტაპზე დისტანციურად, სათანადო მხარდაჭერას უწევს. შექმნილ სიტუაციაში, უსდ-მ დამატებით შეიძინა სკანერები და პრინტერები, რათა სავადებულო და სხვა სასწავლო მასალა სრულად გაციფრულებინა და სტუდენტებს დაბრკოლებების გარეშე ჰქონოდათ საჭირო ლიტერატურაზე წვდომა. ონლაინ ვიზიტის ფარგლებში ბიბლიოთეკის წარმომადგენელთან ინტერვიუირებისას შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა კლინიკური ფსიქოლოგიის რამდენიმე სახელმძღვანელო. პარარელურად, ექსპერტები გაეცნენ ელექტრონულ პორტალს, რომლის მეშვეობითაც სტუდენტებს გაციფრულებულ მასალებზე აქვთ წვდომა. ბიბლიოთეკაში განთავსებულია სილაბუსით განსაზღვრული ლიტერატურა. ბიბლიოთეკის ვებგვერდი არის იოლი მოსახმარი და ყველასთვის ხელმისაწვდომი, როგორც სტუდენტებისთვის ისე პერსონალისთვის. სტუდენტებს წვდომა აქვთ საბიბლიოთეკო ბაზებზე (ScienceDirect, SAGE Premier, Cambridge Journals Online), რომელთა საშუალებითაც მათ შეუძლიათ უახლესი სამეცნიერო კვლევების, სტატიებისა და წიგნების ნახვა. სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია თანამედროვე ლიტერატურა. პანდემიის პირობებში ბიბლიოთეკას შეზღუდვით მასალის გაცემა უწევს, თუმცა დამატებული ტექნიკის (ქსეროსის აპარატი, პრინტერი) დახმარებით, ბიბლიოთეკის თანამშრომლები უზრუნველყოფენ სტუდენტისათვის სასურველი წიგნის გაციფრულებას. სტუდენტი ყველა საბიბლიოთეკო მომსახურებას დისტანციურად, ელექტრონულად იღებს. სტუდენტებისათვის განკუთვნილ პორტალზე განთავსებულია საკონტაქტო ჩათი, რომლის მეშვეობითაც ნებისიმერი ტიპის შეკითხვაზე შეუძლიათ კონსულტაციის მიღება. ბიბლიოთეკა აქტიურად თანამშრომლობს როგორც სტუდენტებთან, ისე აკადემიურ პერსონალთან, რათა სეუ-ში მიმდინარე პროგრამები თანამედროვე ლიტერატურით იყოს უზრუნველყოფილი. გარდა ამისა, ბიბლიოთეკის წარმომადგენელთან გასაუბრებისას დადასტურდა, რომ აღნიშნული დეპარტამენტი დამოუკიდებლადაც ზრუნავს ლიტერატურის განახლებაზე. ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, რომ მაქსიმალურად შეამცირონ შედარებით ძველი მასალით სარგებლობის შემთხვევები. სტუდენტები ინფორმირებულები არიან სასწავლო უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული რესუსების შესახებ. ადმინისტრაცია აღნიშნულთან დაკავშირებით სტუდენტებს საორიენტაციო შეხვედრებზე აწვდის ინფორმაციას. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებისასაც დასტურდება, რომ მათ პროგრამაზე ჩაბარებისთანავე უახლოეს სამეცნიერო პერიოდულ გამოცემებზე, ლიტერატურაზე, სამეცნიერო ბაზებზე წვდომის შესახებ აქვთ ინფორმაცია. აღნიშნული რესურსებით აქტიურად სარგებლობენ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საბიბლიოთეკო რესურსი; • საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომა; • ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამებში მითითებულ ძირითად ლიტერატურასთან; • ბიბლიოთეკის წარმომადგენლებთან ინტერვიუსა და სისტემის დემონსტრირების შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): • უსდ-ს პროგრამისათვის შეძენილი აქვს უახლესი სამეცნიერო ლიტერატურა (სახელმძღვანელოები და სასწავლო მასალები) ინგლისურ და ქართულ ენაზე.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტში გათვალისწინებულია ფინანსური რესურსები, რაც ეკონომიკურად მიღწევადია. ბიუჯეტში გამოყოფილია თანხები აკადემიური და დამხმარე პერსონალის ანაზღაურებისთვის, პრაქტიკის ობიექტისათვის, ინფრასრუქტურისა და ბიბლიოთეკისათვის. ვიზიტის მსვლელობისას გაირკვა, რომ უსდ-ის ბიუჯეტიდან გამოყოფილი აქვს თანხა, რომელიც აქტიურადაა მიმართული მატერიალურ-ტექნიკური რესურსების განახლებაზე. ვიზიტისას არაერთხელ აღინიშნა, რომ კორონავირუსით შექმნილი სიტუაციის ფონზე ამ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • უსდ-ის ბიუჯეტი; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამა განხორციელდება შიდა ხარისხის შეფასების მექანიზმების გამოყენებით. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი აქტიურად თანამშრომლობს სასწავლო უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და იყენებს ამ სამსახურის მიერ განხორციელებული შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

უსდ-ის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია ეფუძნება უწყვეტი გაუმჯობესების პრინციპს, რაც გულისხმობს საგანმანათლებლო, კვლევითი და ადმინისტრაციული რესურსების მუდმივ შეფასებას. უსდ-შ მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომლის მიზნებშიც შედის უსდ-ში სწავლებისა და კვლევის ხარისხის გაუმჯობესება და მოქმედი სწავლის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის დახვეწა. აღნიშნული სამსახურის საქმიანობა ეფუძნება პრინციპს „დაგეგმვა-განხორციელება-შემოწმება-რეაგირება“.

უსდ-ში სისტემატიზირებულია სტანდარტების ეფექტური შესრულების პროცედურები, რომლებიც რეგულარულად ხორციელდება.

ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის შემადგენლობაში შედიან სამსახურის უფროსი და სპეციალისტები, რომლებიც მონიტორინგს უწევენ ანდა ჩართულნი არიან ხარისხის მართვის პროცესების ყველა ეტაპზე (დაგეგმვა, განხორციელება, შემოწმება და განვითარება (მიმდინარე შეფასებები, მიღებული შედეგების ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება). მმართველი ორგანოების მიერ გადაწყვეტილებები მიიღება ხარისხის უზრუნველყოფის შეფასების შედეგებზე დაყრდნობით.

სასწავლო უნივერსიტეტის თითოეული მიმართულება მჭიდროდ თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტთან მიმდინარე პროცესების ხარისხის შეფასებისა და მიღებულ შედეგებზე დაყრდნობთ შემდგომი დახვეწისა და გაუმჯობესების გზების დასახვის პროცესში.

უსდ-ს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი, რომელიც მოიცავს პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების ეტაპებს. თითოეულ ეტაპზე გათვალისწინებულია პროგრამაში ჩართული აკადემიური და

ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლის ჩართულობა. საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის შეფასების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა იყენებს წინასწარ განსაზღვრულ ინდიკატორებს.

კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტთან და იღებს მისგან საჭირო კონსულტაციას. დეპარტამენტი რეკომენდაციებით მიმართავს პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს, როდესაც შეფასების შედეგები საჭიროებს კონკრეტული აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებას პროგრამის ხარისხის ამაღლების მიზნით.

ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი ატარებს სტუდენტების რეგულარულ გამოკითხვას (სტუდენტთა კმაყოფილების კვლევას) და სხვადასხვა ჯგუფთან შეხვედრებს, რომლებიც ემსახურება საგანმანათლებლო პროგრამების და მისი ეფექტური განხორციელებისათვის აუცილებელი აკადემიური და ადმინისტრაციული პროცესების გაუმჯობესებას.

ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი კოორდინირებას უწევს და ზრუნავს თვითშეფასების პროცესის დროს გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრაზე, რაშიც აქტიურად არიან ჩართულნი პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები;
- ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დებულება;
- ხარისხის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელთან, ადმინისტრაციასთან და პროგრამის განმახორციელებლებთან ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამების აკრედიტაციის პროცესში ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი ახდენს ექსპერტთა რეკომენდაციების განზოგადებას და პროგრამების განმახორციელებელი პერსონალისთვის მათ გაცნობას. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან უფრო მეტად დაახლოების მიზნით, ხდება შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა. გარდა ამისა, მხედველობაში მიიღება პროგრამების განმავითარებელ შეფასებაში მონაწილეობის შედეგები, რომლის გაზიარება და რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი უზრუნველყოფილია სასწავლო უნივერსიტეტში. რაც შეეხება წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამას, მისი სტრუქტურა და შინაარსი განისაზღვრა პროგრამის ხელმძღვანელის პრაქტიკული გამოცდილების, შრომის ბაზრისა და პოტენციური დამსაქმებლების მოთხოვნების შესაბამისად. აქედან გამომდინარე, რთულია ერთი კონკრეტული პროგრამის დასახელება, რომლის შესწავლის შედეგად, მასთან დადარებისა და ანალოგის მომზადების გზით შეიქმნა წარმოდგენილი პროგრამა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • გარე ხარისხის შეფასების შედეგები; • გარე ხარისხის შეფასების შედეგად განხორციელებული ცვლილებების ამსახველი დოკუმენტები; • ხარისხის სამსახურის უფროსთან და ადმინსიტრაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ვინაიდან წარმოდგენილი პროგრამა ახალია, უკვე განხორციელებულ ღონისძებებზე საუბარი შეუძლებელია, თუმცა ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების და გაუმჯობესების მექანიზმები, რომელთა განხორციელებაშიც ჩართულები არიან სტუდენტები, დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალი.

დარგის განვითარების, შიდა და გარე დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის, ბაზრისა და კანონმდებლობის მოთხოვნებთან ერთად საგანმანათლებლო პროგრამა პერიოდულად განიცდის შესაბამის ცვლილებებს. სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი სისტემატური კონტროლისა და რეკომენდაციების მიცემით ახორციელებს პროგრამების ხარისხის თანდათანობით გაუმჯობესებას და მათ თანამედროვე სტანდარტებთან მიახლოვებას.

პროგრამული შეფასებით ირკვევა: პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეები, ხორციელდება თუ არა პროგრამა ისე, როგორც დაგეგმილი იყო; რა ზომებია მისაღები სტანდარტების შესასრულებლად და პროგრამის გასაუმჯობესებლად.

პროგრამის ხელმძღვანელი და განმახორციელებელი პერსონალი აკვირდებიან საგანმანათლებლო პროგრამისა და სასწავლო კურსების მიზნებისა და სწავლის შედეგების ეფექტიანად მიღწევის პროცესს წინასწარ განსაზღვრული სამიზნე ნიშნულების მიხედვით. მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით იგეგმება საგანმანათლებლო პროგრამისა და სასწავლო კურსების შემდგომი განვითარება.

თითოეული სემესტრის დასასრულს სტუდენტები აფასებენ სასწავლო კურსებსა და ლექტორებს. ასევე, ყოველი სემესტრის დასრულების შემდეგ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი ახორციელებს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგს, რომლის შედეგების დამუშავება ხდება სასწავლო კურსების, ლექტორების, სკოლების მიხედვით. სკოლების მიხედვით წარმოდგენილ მონაცემებს განიხილავს სკოლის საბჭო, ხოლო საუნივერსიტეტო მასშტაბით გამოვლენილ ვითარებას -- მმართველი საბჭო. შეფასების შედეგებს უნივერსიტეტის ადმინისტრაცია საგანმანათლებლო პროგრამების და აკადემიური პროცესის გაუმჯობესებისთვის იყენებს.

სასწავლო უნივერსიტეტში ხორციელდება სტუდენტების პერიოდული გამოკითხვა, რომლის საშუალებით სტუდენტები აფასებენ სერვისებს, რომელსაც იღებენ სასწავლო უნივერსიტეტში: საბიბლიოთეკო, საინფორმაციო, საკონსულტაციო და სხვა მომსახურებასთან, ასევე სტუდენტურ ცხოვრებასთან დაკავშირებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი;
- სტუდენტთა გამოკითხვის ფორმა;
- კურსდამთავრებულთა გამოკითხვის ფორმა;
- დამსაქმებლის გამოკითხვის ფორმა;
- კურსდამთავრებულებთან, სტუდენტებთან, ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან და ადმინისტრაციასთან ინტერვიუს შედგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 42

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		✓		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ლილი ხეჩუაშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სალომე საბიაშვილი

თინათინ გვაძაბია